საბჭოთა სპორტის ქების ნაპერწკალი

ლელო


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა


№ 6 (286) გამოცემის მე-16 წელი


1972 წლის 24 მარტი


სურათებზე: „დიდუბე“; ცისფერ ექსპრესს გასამგზავრებლად ამზადებენ ჯემალ ჩხაიძე, გოდერძი ბოგრაშვილი და შოთა ჭურდაძე; გვირაბმშენი გიორგი შალამბერიძე; საგულდაგულოდ ამოწმებენ ლიანდაგს მიხეილ ჩოხელი, ზაალ რევაზიშვილი და ოთარ ყურაშვილი.

ედუარდ გიგილაშვილისა და ანატოლ რუხაძის ფოტოები.









თბილისის მეტროპოლიტენი

1965 წლის 27 ნოემბერს თბილისმა დიდებული საჩუქარი მიიღო — ამუშავდა მეტროპოლიტენი. ნოე ლაცაბიძემ ცისფერი ექსპრესი პირველმა გააჭროლა მიწისქვეშა ელექტრომაგისტრალზე...

თბილისის მეტროპოლიტენი მსოფლიოში რიგით ოცდამეთხუთმეტეა, საბჭოთა კავშირში კი ჩვენს დედაქალაქზე ადრე მეტროპოლიტენი მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში იყო. დიახ, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი მსოფლიოს იმ უდიდეს ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მცხოვრებნი ყველაზე მოსახერხებელი და ყველა დრო-ჟამის უხიფათო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტრომაგისტრალებით სარგებლობენ.

წლიდან წლამდე ფართოვდება თბილისის მეტროპოლიტენი. ჩვენი დედაქალაქის ხან ერთ, ხან მეორე უბანში ჩნდება ლათინური ასო „M“-ით დამშვენებული ნატიფი შენობა, მეტროს ახალი სადგურის დაბადებას რომ გვაუწყებს.

მეტროპოლიტენი მალე მთელ თბილისს გასწვდება... თუმცა ამის შესახებ უმჯობესია სიტყვა მივცეთ ადამიანებს, რომლებსაც აბარიათ მეტროპოლიტენის აწმყო და მომავალი. ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებენ თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი ნოდარ ბერიძე და თბილისის გვირაბმშენის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე ნიკოლოზ ჩაჩხიანი.

● რამ განაპირობა თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობა?

ნოდარ ბერიძე: მეტროპოლიტენი, როგორც წესი, იმ ქალაქში შენდება, რომლის მოსახლეობა-მილიონს აღემატება. თბილისში დღეისათვის 930 ათასი კაცი ცხოვრობს. თქმა არ უნდა, ეს ციფრი მილიონისაგან კიდევ უფრო შორს იყო 1965 წლისათვის, როცა გაიხსნა მეტროპოლიტენის პირველი უბანი. ჩვენს დედაქალაქში მეტროპოლიტენის მშენებლობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურება გახლავთ. საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ჩვენი დედაქალაქისადმი, გაითვალისწინა რელიეფის თავისებურება, რომ თბილისის ქუჩები მიწისზედა ტრანსპორტის ინტენსიურ განვითარებას ძნელად იფერებდნენ.

● გაგვაცანით ადამიანები, რომელთაც თავი ისახელეს მეტროპოლიტენის მშენებლობაზე.

ნიკოლოზ ჩაჩხიანი: მიწისქვეშა ქანებთან ჭიდილი ვაჟკაცთ ძალუძთ. გვირაბმშენებელთა დიდი არმიიდან ძნელია ვინმეს გამოყოფა, მაგრამ რამდენიმეს მაინც დაგისახელებთ.

მიწისქვეშა ელექტრომაგისტრალის მშენებლობაზე მრავალი წელიწადია თავგამოდებით შრომობენ სოციალისტური შრომის გმირები — გრუშა ობოლაძე და კუზმა ლუბავსკი, ლენინის ორდენის კავალრები — ალექსანდრე დათაშვილი და სერგო ბლიაძე. ვეტერან მშენებლებს მხარს უმშვენებენ გიორგი კიწმარიშვილი, გაიოზ კეკელიძე, რომან ნადარაია, ამირან ზარქუა, თევდორე კაჩმაზოვი, მამია ბობოხიძე, იორამ გოგოლაური, ძმები ნუგზარ და გურამ კვინტრაძეები...

● რამდენი სადგურია თბილისში და რამდენი მგზავრი გადაგუყავთ დღეში?

ნოდარ ბერიძე: დღეისათვის თბილისში მეტროს თერთმეტი სადგურია — „დიდუბე“, „ელექტროდეპო“, „ოქტომბერი“, „ვაგზლის მოედანი“, „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „ლენინის მოედანი“, „26 კომისარი“, „300 არაგველი“, „ისანი“ და „სამგორი“. მეტროპოლიტენის სიკეთით ყოველდღიურად 300 ათასამდე მგზავრი სარგებლობს.

● ხშირად გაგვიგონია, თბილელ მეტრომშენებლებს მრავალი მეგობარი ჰყავთ ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეშიო. რაში პოულობს გამოხატულებას ეს მეგობრობა?

ნიკოლოზ ჩაჩხიანი: მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყებისთანავე ვიგრძენით, რას ნიშნავს საბჭოთა ხალხის ერთობა და ძმობა. ჩვენს შეკვეთებს ასრულებდა 12 მოკავშირე რესპუბლიკის 500-ზე მეტი საწარმო. მეგობრები გვაწვდიდნენ გრანიტსა და მარმარილოს, ცემენტსა და რელსებს, ვაგონებსა და ესკალატორებს, ტუმბოებსა და ვენტილატორებს, ვერცხლისწყლის გამმართველ აგრეგატებსა და ტრანსფორმატორებს.

თბილისს ჩამოვიდნენ, თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარეს და დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს მოსკოველმა და ლენინგრადელმა მეტრომშენებლებმა.

● როგორია მეტროპოლიტენის განვითარების უახლოესი პერსპექტივები?

ნოდარ ბერიძე: 1973 წლის პირველ კვარტალში მწყობრში ჩადგება მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც სადგურ „სამგორს“ დაუკავშირებს კახეთის გზატკეცილთან. ამ გადასასვლელზე დამონტაჟდება ორი სამგზავრო ფირფიტოვანი კონვეიერი (მოძრავი ტროტუარები), რომლებიც პირველი იქნება საბჭოთა კავშირში.

1975 წლის დამლევისათვის თბილისელები მიიღებენ „ვაგზლის მოედანი“—„დელისის“ უბნის 6-კილომეტრიან მიწისქვეშა მაგისტრალს, რომელსაც ოთხი სადგური ექნება: „წერეთელი“, „პოლიტექნიკური“, „კომკავშირული“ და „დელისი“. 1980 წლისათვის თბილისის მეტროპოლიტენის საერთო სიგრძე ერთიორად გაიზრდება და 25 კილომეტრს მიაღწევს.

● ვინ არიან ადამიანები, რომლებიც საგულდაგულოდ უვლიან თბილისის მეტროპოლიტენს და რა კეთდება მათი თავდადებული შრომის საზღაურად?

ნოდარ ბერიძე: თბილისის მეტროპოლიტენი დაკომპლექტებულია ჩვენი რესპუბლიკის მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკოსებით, რომელთა დამსახურება, სხვა მრავალთან ერთად ისიც არის, რომ 6 წლის განმავლობაში ჩვენს საწარმოებში გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ შესანიშნავი ადამიანები: მემანქანეები მიხეილ ძიძიგური, ალექსი კაციტაძე; ოსტატი კარლენ მარტიროსიანი; ზეინკლები ელდარ გურგენიძე, ნუგზარ არაბიძე; სადგურის მორიგეები ლია გზირიშვილი, იოსებ გვრიტიშვილი, ვალენტინა ჟივოგლაზოვა; დისპეჩერი ილია სადაღაშვილი; ლიანდაგის ბრიგადირები ზაურ ტულოშვილი, ივანე ნოზაძე; ელექტრომონტაორები იური ბიწაძე, მიხეილ გიორგაძე; ელექტროზეინკლები ნიკოლოზ მაისურაძე, ოთარ ნოდია; ელექტრომექანიკოსები გურამ ტაბატაძე, გურამ ბოკერია; უფროსი ელექტრომექანიკოსები გურამ ბუბაშვილი, აბდულ ბექაური; ესკალატორის მემანქანე ჯემალ სამხარაძე; ოსტატები კარლო მიმინოშვილი, მურთაზ ჯობაძე; კონტროლიორი რაისა კალენიკი და მრავალი სხვა.

უკანასკნელ წლებში მეტროპოლიტენის 266 მუშამ და ინჟინერმა იზეიმა ახალსახლობა, ამჟამად კიდევ ორ 48-ბინიან სახლს ვაშენებთ. შენდება გამაჯანსაღებელი კომპლექსი კურორტ კიეთში.

მეტროპოლიტენის 250 მუშაკს მიეცა მიწის ნაკვეთები მცხეთის რაიონში, სადაც მათ მშვენიერი ბაღები გაიშენეს. და, ბოლოს, ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად, შარშანდლიდან მეტროპოლიტენის მუშაკების თვიური ხელფასი 27 პროცენტით გაიზარდა.

● რას გვეტყვით ტექნიკურ სიახლეებზე?

ნიკოლოზ ჩაჩხიანი: მრავალიდან მხოლოდ ერთს დავასახელებ — მექანიზებული ფარი „105 თბილისური“. იგი საუკეთესო მიწისქვეშა სამუშაო მანქანაა, რომელიც ტრასის გაყვანასთან ერთად დაწნეხვის საშუალებით გვირაბს ბეტონით ამაგრებს. „105 თბილისური“ წარმატებით გამოვიყენეთ „300 არაგველ-სამგორის“ მიწისქვეშა მაგისტრალის მშენებლობაზე. ამ ფარით თვეში საშუალოდ გაგვყავდა 100 მეტრზე მეტი მწკრივი.

● თქვენი შრომითი დევიზი?

ნოდარ ბერიძე: ხალხს უნდა ჰქონდეს ყველაფერი მხოლოდ საუკეთესო. როცა მეტროს ახალ სადგურს ვაშენებთ, ვითვალისწინებთ არა მარტო კომფორტს, სიჩქარესა და მოძრაობის სრულ უშიშროებას, არამედ გვინდა მშრომელთა ესთეტიკური მოთხოვნაც სრულყოფილად დავაკმაყოფილოთ.

● რას უსურვებდით „სამშობლოს“ მკითხველებს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს?

ნოდარ ბერიძე: ჩამოსულიყვნენ ჩვენს დედაქალაქში და თუნდაც მეტროპოლიტენის მაგალითზე საკუთარი თვალით ენახოთ და გულით შეეგრძნოთ — რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

ღრმად მწამს, რომ თქვენი გაზეთის წინა ნომერში ნახსენებ ყინულს ჩვენი გაზაფხულის მგზნებარება უთუოდ დაადნობს.









გზა მწვერვალისაკენ მიდის

...მწვერვალის დამლაშქრავნი ყოველთვის ტოვებენ სამახსოვროს...

გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მისეულ ჭიაურელისა და ქართული თეატრის მშვენების ვერიკო ანჯაფარიძის შვილია სოფიკო ჭიაურელი — დედასავით ნუშისთვალება, ორბის ფრთასავით აზიდული წარბებიანი, სხივმოსილი; მამასავით გონებამახვილი, ენამზე; ორივესავით გულსათუთი, მოყვარე თავისი მიწისა და ხალხისა.

როგორც ყველა ბავშვი, ისიც გატაცებული იყო „თეატრობანას“ თამაშით. ფიქრის გორაზე, თავიანთ ეზოში, თავს მოუყრიდა თანატოლებს, მოაწყობდნენ სახელდახელო სცენას. და მართავდნენ „წარმოდგენებს“.

მერე ნამდვილი თეატრი. ჩაბნელებული ლოჟიდან ორი ცნობისმოყვარე თვალი მისჩერებოდა დედას — იწვოდა სცენაზე ივდითი, მარგარიტა, ოფელია, მარიამ სტიუარტი...

„ერთხელ პიერ კობახიძემ დამაშინა, დედაშვის ნამდვილად დავახრჩობო „მოძღვარში“. ტირილი დავიწყე, ძლივს გამაჩერეს... საერთოდ, ძალიან მიინელებოდა სცენაზე დედის ყურება, წარმოდგენის ბოლომდე ვერ ვჩერდებოდი“...

დაილია სიყმაწვილე.

„მინდოდა ჭირურგი გამოვსულიყავი, მაგრამ... რაღაც ჭარმა დამჭროლა და აი მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტი ვარ“.

ვერიკო ანჯაფარიძე: „სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო ჩვენთვის, მშობლებისათვის, სოფიკოს არჩევანი. მსახიობებს დაგვცინოდა კიდეც, ტყუილსართო. ვფიქრობ, აქ ოჯახის ტრადიციამ იჩინა თავი. დედაჩემის საგვარეულოს — მესხებს სომ დიდი თეატრალური წარსული აქვთ“.

„პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა რეზო ჩხეიძემ მიმიწვია „ჩვენს ეზოში“. მუშაობისას თავისუფლებას მაძლევდა, ფილმი სომ ახალგაზრდების ცხოვრებაზეა და ჩვენც თითქოს საკუთარ თავს ვთამაშობდით — მე და დათო — გიორგი შენგელაია“.

ახალგაზრდობის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმს ოქროს მედალი ერგო. ეს სოფიკო ჭიაურელის პირველი გამარჯვება იყო.

დადგა თეატრში გამოსვლის დღეც.

ნოტის პერიალისის „ბაბთიანი გოგონა“. პრემიერა. შიშით შეჰყურებს ახალგაზრდა მსახიობი ჩაბნელებულ დარბაზს. ღელავენ დედა, მამა, მეუღლე.

მისეულ ჭიაურელი: „ვერიკო გენერალური რეპეტიციიდან დაბრუნდა. ვსხედვართ, ვსადილობთ. ვნერვიულობ: როგორია სოფიკო? — ვეკითხები მეუღლეს. ნერვიულადვე მპასუხობს: სოფიკო სოფიკოა! ამან, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა... მაგრამ გოგონამ დამავიწყა ჩემი სოფიკო... „ბაბთიანი გოგონას“ ემოციური სამყარო სოფიკოს სამყაროა“.

საბერძნეთი. ელადის ლამაზი ცის ქვეშ ადგილი ვერ უპოვიათ დატაკებს. იანისისა და გოგონას ერთადერთი სიმდიდრე სიყვარული.

გოგონას ზრდიდა უსინათლო პაპა. ისე ღარიბად ცხოვრობდნენ, გოგონას ოქროსფერ თმას ბაბფთა არასოდეს ღირსებია. გოგონა კი ოცნებობს, ბაბთა რომ მქონდეს, ვარსკვლავებისკენ გავფრინდებიო...

უმუშევრად დარჩენილი იანისი ნაგვის ქექვაში აღამებს დღეებს, ეგეც ბაბთა ვიპოვოო. მაგრამ... ცალი ფეხსაცმელი იპოვა. გახარებული გოგონა გულში იკრავს საჩუქარს, თუმცა... მეორე ცალი?!

მაყურებელი: „ისე მეგონა, საბერძნეთში ვცხოვრობდი“.

შვლის ნუკრივით კრიალა თვალები, ცხოვრების ჭუჭყს რომ არ აუმღვრევია. ამ თვალებს სჯერათ სიკეთისა, ადამიანობისა, ამ თვალებს უყვართ ადამიანები, უყვართ სიცოცხლე.

გივი ციცქიშვილი: „დიდად სასიამოვნოა სოფიკო ჭიაურელთან, როგორც პარტნიორთან, მუშაობა. უშუალო, მართალი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ქრებოდა მისი ანთებული თვალები, მისი სიხარული, როცა გაიგებდა, რომ მხოლოდ ცალი ფეხსაცმელი მივუტანე, მისი მზერა სულში მწვდებოდა. ისეთი საცოდავი თვალებით შემომხედავდა ხოლმე, რომ მზად ვიყავი, მართლა გავქცეულიყავი და მთელი ქალაქის ნაგავი გადამექიქა, ოღონდ მეორე ცალიც მეპოვა“.

ჩამომჯდარა გოგონა ქოხის ნანგრევებზე. უსინათლო პაპა სევდიან მელოდიას აკვნესებს. აღარც სახლი, აღარც იანისი...

და აი უცებ შორიდან იანიხის ხმა ისმის: — გოგონა!

სასომიხდილი გოგონა წამოხტა: — ის არის, ის!

ცეკვავდა გოგონა, ირხეოდა მთვარე, თითქოს მთელი სამყარო ამოძრავდაო. არც ბაბთა, არც ფეხსაცმელი, არა, იანისის ხმაზე ტკბილი და საოცნებო არაფერია!

ბოლოს კი სანთელივით აისვეტებოდა და უხმოდ, ნელა იღვენთებოდა...

ეს იყო ათი წლის წინათ. მაშინ მართლაც „გოგონა“ იყო. დღეს „გოგონა“ ორი შვილის დედაა, მეოჯახე, გულისხმიერი მეგობარი.

სოფიკო ჭიაურელს არასოდეს „წაუყრუებია“ როლისათვის. თამაშობს მგზნებარებით. მისი თითოეული როლი — ხელოვნების ლამაზი ნაწარმოებია, თლილი, ნაგვეთი. გარდასახვის იშვიათი ნიჭი, უშუალობა, გმირის ბუნებაში ღრმად წვდომის უნარი, პლასტიკურობა — აი მისი მსახიობისეული ნიშნები.

მთის კალთაზე ამოწვერილ დეკასავით ამაყია და კდემამოსილი მისი მზექალა, მწვერვალზე მობერილი ნისლივით ლირიკული და მეოცნებეა მისი ბაბთიანი გოგონა. წყაროსავით კისკისა და გრაციოზულია ჯულიეტა. ქარიშხალში მდგარ ძლიერ ხეს მოგვაგონებს ანტიგონე, ვულკანივით ამომსკდარია ჟანა დ'არკი. ნაკადულივით კამკამაა და ნათელი მისი უსინათლო ხატია.

...ცხოვრობს სოფელში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ჰყავთ შვილები, აქვთ მყუდრო ოჯახი.

სოფელს არ გასცილებია ქალი, მაგრამ ქვეყნიერების ბილიკები მის ეზო-კარსაც კვეთს და აი მაყურებელი მოწმე ხდება წუთისოფლის ორომტრიალისა.

ლაპარაკია შოთა და ნოდარ მანაგაძეების ფილმ „წუთისოფელზე“.

სწორედ ამ ფილმში სოფიკო ჭიაურელმა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის თბილისში გამართულ V საკავშირო კინოფესტივალზე პირველი პრემია და პრიზი დაიმსახურა.

ფილმის დასაწყისში ვხვდებით გოგონას, მხრებზე შედგმული სურით რომ მიხტის წყაროსკენ... და ვშორდებით მოხუცს.

დიდი სცენური გარდასახვა იყო საჭირო. მსახიობმა ამ სიძნელეს ოსტატურად გაართვა თავი.

...ეზოში შემოიჭრა შეშფოთებული უფროსი ვაჟი.

— მომდევენ, დედა, მოსაკლავად!

— ნუ გეშინია, ნენა!

დედამ კალთა გადააფარა ვაჟს და სახლისაკენ გაიქცნენ, მტერი აქაც დაეწია.

რა იღონოს დედამ?

სახე თანდათან იძაბება. მაყურებელს ესმის დედის გულისხმა:

— ცოცხალი თავით ჩემს შვილს არ დაგანებებთ, არა!..

თვალებში შუქივით იელვებს აზრი....

— მოდით!

როგორც ზარმა, ისე დარეკა მისმა ხმამ.

ადამიანებს სინდის-ნამუსი შეახსენა. უკანასკნელი მსხვერპლი გაღებულია შვილისათვის.

ქართველი ადამიანის სულის ძლიერება, უტეხი ნება — აი, რა გვიჩვენა სოფიკო ჭიაურელმა სიდრონას სახით.

გავიდა წლები. ცოლ-ქმარს ჟამი მოერია.

...ხეზე გასული ბერიკაცი ყურძენს კრეფს.

ქვევით სიდონია დგას, ჩამოწვდილ გიდელსა ცლის. ქალმა უცებ ღობეს მომდგარი კაცები შენიშნა. დედის გულმა იგრძნო უბედურება.

— ხალამპრე, რა გიჭირავს ისეთი, მაგ ხელებს რომ გწვავს?

— გამაგრდი, სიდონია, გამაგრდი!

— რომელი? რომელი, თუ სამივე ერთად?

— ლევანი.

ლევანი მოუკლავთ ომში...

— წადით, წადით აქედან, ბერიკაცმა არ დაგინახოთ, თორემ ხიდან ჩამოვარდება...

თითქოს ქვად იქცაო ქალი, მაგრამ... შეხედეთ მის ხელებს, სახეს...

ქვითინი უკან ჩაუწურა გულს, გულმა კი ვეღარ გაუძლო და ძირს დაანარცხა ქალი...

დუმილი ალაპარაკდა.

რეჟისორი შოთა მანაგაძე: „რა დაეხმარა სოფიკო ჭიაურელს, ესოდენ ღირსეულად რომ შეასხა ხორცი თავის გმირ ქალს? შინაგანი სიმართლე, ბუნებრიობა, შეშფოთებული დიდ ნიჭსა და უნართან. შემოქმედებითი სინდისი, მოწიწება, სიწმინდე.

როგორც რეჟისორს, დიდ სიამოვნებას მანიჭებს სოფიკო ჭიაურელთან მუშაობა. ადრეც, ჩემს მიერ დადგმულ ფილმში „ხევსურული ბალადა“ მშვენიერ როლისათვის საკავშირო კინოფესტივალზე პრემია მიენიჭა. ქართულ კინემატოგრაფიას მისი სახით ჰყავს უდავოდ ნიჭიერი შემოქმედი“.

კინო თუ თეატრი?

„ძნელია ამაში საკუთარ თავს გამოვუტყდე, მაგრამ, თუ არ ვცდები, სცენა უფრო მიზიდავს, თეატრი მეტ შესაძლებლობას ქმნის შემოქმედებითი აღმავლობისათვის“.

...მარჯანიშვილის დღეებია საქართველოში. იუბილესათვის ვერიკო ანჯაფარიძის რეჟისორობით აღდგება მარჯანიშვილისეული „ურიელ აკოსტა“. 36 წელიწადს თამაშობდა ვერიკო ანჯაფარიძე ივდითს, რომელიც შვილს უნდა დაუთმოს.

„მესმის დედის ტკივილი. ეს სპექტაკლი ხელოვნების ისტორიაში შევიდა როგორც მარჯანიშვილის გენიალური დადგმა. გენიალურადაც თამაშობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე.

ხალხი მოვა თეატრში იმ განწყობილებით, რომ შეგვადაროს. მე და კოტე მახარაძე საშინელ მდგომარეობაში ვართ. გვინდა ახალი ელფერი შევიტანოთ, ჩვენებურად ვთქვათ, სხვანაირად არც შეიძლება“.

არა, სოფიკო დედას გულს არ ატკენს. როგორც უნდა ითამაშოს, მთავარი ერთია — აჯობოს „მეტოქეს“, რომ დედა-მსახიობმა შვილს უთხრას პრემიერაზე: შვილო, სოფიკო, შენ გამახსენე ვარდობის თვენი!

რთული და ძნელადსავალია მსახიობის გზა. ეს გზა მწვერვალისაკენ მიდის. მწვერვალის დამლაშქრავთ ნიშანი დაუტოვიათ...

ნაზი შამანაური

სურათებზე: სოფიკო ჭიაურელი ფილმებში „ხევსურული ბალადა“, „წუთისოფელი“. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლში — „ბაბთიანი გოგონა“.

ილიასებურად გავუფრთხილდეთ ყოველ ეროვნულ საგანძურს

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გადაცემის ზოგიერთი დეტალი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის იმ ტომში, რომელშიც მისი მიმოწერაა დახატმბული, არის ილიას დეპეშა: «Библиотека Чубинова пожертвована Обществу Грамотности. Профессор Цагарели принял труд наблюдать за составлением каталога». დეპეშა გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1891 წლის 8 თებერვალს „ივერიის“ რედაქციაში.

დოკუმენტაცია ამ ფაქტის ირგვლივ გამოქვეყნებული არ ყოფილა, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გავამახვილოთ ყურადღება ზოგიერთ დეტალზე.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, დავით ჩუბინაშვილს დარჩა მდიდარი ბიბლიოთეკა, ქართველი ერის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ხელნაწერები და საბუთები. მისი მემკვიდრეობის ღირებულება დიდი იყო არა მარტო მეცნიერული, არამედ მატერიალური თვალსაზრისითაც. დავითის მემკვიდრეებს არ უზრუნიათ, რომ ეს ფასეულობანი ჩამოტანილი ყოფილიყო საქართველოში. შეიქმნა საშიშროება, რომ ჩუბინაშვილის მემკვიდრეობა გადავიდოდა სხვა დაინტერესებული პირების ხელში. ამით შეშფოთებულა ილია ჭავჭავაძე, რომლის დაუღალავმა შრომამ და ნებისყოფამ გადაარჩინა ჩუბინაშვილის მემკვიდრეობის საგრძნობი ნაწილი.

პირველი დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხს შუქს ჰფენს, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1891 წლის 17 ოქტომბრით დათარიღებული წერილი პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისადმი.

„მოწყალეო ხელმწიფევ!

გაგეგონებათ, რომ ჩუბინაშვილის მემკვიდრეებმა მამის ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირეს, მაგრამ სრულებით კი არა, არამედ მარტო ის წიგნები, რომელიც ან ქართულად არის დაწერილი ან საქართველოს შეეხება. დანარჩენი წიგნები მათ თავიანთთვის დაიტოვეს. ამიტომ იმათ მთხოვეს, შემდგარიყო მთელის ბიბლიოთეკის კატალოგი, რომ დაენახათ, რომელი წიგნი იყო დასატოვებელი და რომელი საზოგადოებისათვის შემოსაწირავი. პროფესორმა ცაგარელმა კიდეც იკისრა ამ კატალოგის შედგენა, მაგრამ იმას მალე სამძღვრის იქით მოუხდა წასვლა და კატალოგის შესადგენად ერთი სტუდენტი ბ. ქართველიშვილი დაასახელა. ამ საგანზე ქართველიშვილს კიდეც ჰქონდა ერთხელ მოლაპარაკება ბ. ილია ჭავჭავაძესთან პეტერბურგში ყოფნის დროს, აღუთქვა კიდეც კატალოგის შედგენა, მაგრამ ის იყო და ის. მას აქეთ ქართველიშვილი არც ჭავჭავაძესთან გამოცხადებულა, არც ჩუბინაშვილის სახლში მისულა. ეტყობა, იმან არ ინდომა რაიმე მიზეზით ამ საქმის გაკეთება, ამნაირად, ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ განსვენებულის მეუღლესთან არის და, თუ კატალოგი არ შესდგა, ჩვენს საზოგადოებას წიგნებს არ დაანებებენ. საჭიროა, რაც შეიძლება აღრე ჩაიბაროს საზოგადოებამ ჩუბინაშვილის წიგნები, რადგან საფიქრებელია, რომ არ დაგვეკარგოს. ვინ იცის, იმისთანა ძვირფას წიგნებს მუშტრები არ გამოუჩნდნენ და არ დაახარბონ მემკვიდრეები, რომელნიც ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ სიტყვიერად დაჰპირდნენ წიგნების ჩუქებას. ამიტომ უნდა მივაშუროთ და, რაც შეიძლება, მალე დავეპატრონოთ. რაკი ეს კატალოგის შეუდგენლად შეუძლებელია, ამიტომ საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ, რომლის გულშემატკივრობა წერა-კითხვის საზოგადოებისა და ყოველის საქართველოს სიკეთისადმი მან კარგად იცის, და გთხოვს ინებოთ და თქვენს თავზე მიიღოთ შრომა ამ კატალოგის შედგენისა. თქვენ, როგორც პროფესორს, შეგიძლიანთ ყოველთვის დრო ჩაიგდოთ ხელთ და მაშასადამე ახლავე წაბრძანდეთ პეტერბურგს და შეუდგეთ კატალოგის შედგენას. ჩვენი საზოგადოება მოგართმევს მისვლა-მოსვლის, პეტერბურგში ყოფნის და შრომის ხარჯს, როგორც კი შეთანხმდებით. გამგეობას იმედი აქვს, რომ თქვენც ყურადღებაში მიიღებთ გარემოებას, რომელიც გვაიძულებს საქმის დაშურებას და რამდენადაც შესაძლებელი იქნება მალე შეუდგებით კატალოგის შედგენას. გამგეობაც დაამზადებს ინსტრუქციას და, მოგვივა თუ არა თქვენი პასუხი, მაშინვე გაახლებთ მას“.

ეს წერილი ალექსანდრე ხახანაშვილს მოსკოვში გაეგზავნა — როგორც ცნობილია, იგი ლაზარევის ინსტიტუტის და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო და გარდაცვალებამდე (1912 წელი) მოსკოვში ცხოვრობდა.

ალექსანდრე ხახანაშვილის პასუხი დათარიღებულია 1891 წლის 31 ოქტომბრით. იგი მოსკოვიდანაა გამოგზავნილი:

„დიდად პატივცემულო ბატონო ილია!

თუმცა პეტერბურგში ცხოვრება აკრძალული მაქვს ექიმებისაგან, მაგრამ მე ჯერ გახლავართ წავიდე დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად, თუ პროფ. ცაგარელს და სხვებს საწყენად არ დარჩებათ. 15 დეკემბერს შემიძლიან აქედან გავიდე და ამაზედ აღრე კი ნებას არ მომცემენ. თუ ეს ვადა დაგვიანებულად არ მიგაჩნიათ, შემატყობინეთ და ინსტრუქციაც გამომიგზავნეთ. ხარჯის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ შრომის ფასი არ მინდა, ხოლო წასვლა-მოსვლის და იქ ოთახის დასაჭერად დამჭირდება 60 მანეთი. ეს არის ჩემი პირობა და თქვენი პასუხიც გთხოვთ მაცნობოთ.

თქვენი პატივისმცემელი
ბ. ხახანაშვილი“.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1891 წლის ქრისტეშობის (დეკემბრის) თვის 11 რიცხვში წერს: „მის მაღალკეთილშობილებას ალექსანდრე სულხანოვიჩს ძს ბ-ნს ხახანაშვილს.

თანახმად თქვენი წერილისა ამა წლის ოქტომბრის 31-ითგან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა გიგზავნით რწმუნების წერილს ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად, ინსტრუქციას ამ ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად და ექვს თუმანს. გამგეობას იმედი აქვს, რომ ამის მიღებისთანავე წაბრძანდებით პეტერბურღს და შეუდგებით საქმეს“.

წერილს ხელს აწერენ ილია ჭავჭავაძე და დავით კარიჭაშვილი. ინსტრუქციაში კი ნათქვამია:

„თავი-და-თავი სურვილი გამგეობისა ის არის, რომ დავით ჩუბინოვის მემკვიდრეთ შემოწირული ბიბლიოთეკა რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოიგზავნოს პეტერბურგიდან, რათა დაგვიანებამ არ დააკლოს ამ ბიბლიოთეკას ჩვენთვის საჭირო და საყურადღებო წიგნები, და ნამეტნავად შემომწირველთ არ გამოუცვალოს აზრი შემოწირვის შესახებ. დაგვიანება ამ საქმისა გამგეობას საზარალოთ მიაჩნია. თავისთვის გამგეობა დარწმუნებულია, რომ მოკლე ხანში სრული კატალოგის შედგენა შეუძლებელია და სრული კატალოგის შედგენა ახლა გამგეობას სახეში არა აქვს, არამედ გამგეობა გთხოვს თქვენ მოიწვიოთ რამოდენიმე სტუდენტი თანაშემწედ და შეძლებისამებრ მოკლე ხანში შეადგინოთ სრული სია ყველა იმ ხელნაწერებისა, სიგელ-გუჯრებისა და ნაბეჭდი წიგნებისა, რომელიც მოიპოვება განსვენებულის დავით ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში. გასამრჯელოს თქვენს თანაშემწეთათვის, როგორც მორიგდებით, გამგეობა გაახლებთ.

ხოლო ვინაითგან დავით ჩუბინოვის მემკვიდრეთ აღუთქვამთ მარტო იმ წიგნების შემოწირვა, რომელნიც შეეხებიან საქართველოს და საზოგადოთ კავკასიის ისტორიას, ამიტომაც სია წიგნებისა, რომელნიც სათაურის მიხედვით არ ეკუთვნიან საქართველოს და საზოგადოთ კავკასიას, მაგრამ შინაარსით მთლიანად თუ არა რამოდენიმეთ მაინც ეხებიან ჩვენს მხარეს, — ამ წიგნების სია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ყოველთვის იყოს ნაჩვენები, რით არის ეს წიგნები ჩვენთვის აუცილებელი საჭიროთ და რომელი მასში მოქცეული სტატია ეხება საქართველოს. ამგვარ წიგნებათ უნდა ჩაითვალოს ის წიგნებიც, რომელნიც შინაარსით ეკუთვნიან სპარსეთის, ოსმალეთის, მონგოლების, საბერძნეთის, რომის, სომხეთის და სხვა საქართველოს მოსაზღვრე ხალხების ისტორიას და ეთნოგრაფიას. გამგეობას იმედი აქვს, თუ ამ წიგნების მნიშვნელობა ჩვენი მხარისათვის მოხსენებული იქნება სიაში და თქვენ პირადათ განუმარტებთ შემომწირველთ მათ საჭიროებას ჩვენთვის, ესენი არ დაეკარგება ჩვენს საზოგადოებას. გარდა წიგნებისა და ხელნაწერებისა ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში, როგორც გამგეობამ იცის, მოიპოვება კავკასიის და საქართველოს რუქები და საკმაოდ ბევრი სიგელ-გუჯრები თუ სიგელ-გუჯრების ასლები. განსვენებული დ. ჩუბინოვი მსახურობდა სააზიო დეპარტამენტში, სადაც ბევრი სიგელ-გუჯრები იყო წარდგენილი ჩვენი ბატონიშვილების და თავად-აზნაურების მიერ. ამ სიგელ-გუჯრების გარჩევა და გადათარგმნა მინდობილი ჰქონდა დავით ჩუბინოვს, რომელიც ყოველთვის იტოვებდა თავისთვის ასლებს საყურადღებო სიგელ-გუჯრებისა. ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში უნდა მოიპოვებოდეს აგრეთვე ზოგიერთი წერილები ჩვენი მეფეებისა და ბატონიშვილებისა. სასურველია, ყველა ამგვარი წერილები და სიგელ-გუჯრები ერთათ იყოს მოგროვილი, განცალკევებული ნომრებით შეტანილი სიაში, ყველა წიგნზე ნომერი უნდა იყოს დასმული და სია ნომრებით შედგენილი, რომ აქ გარჩევის დროს ადვილათ შეიძლებოდეს შემოწმება წიგნებისა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ხელ-ნაწერები, შემდეგ ძველი ნაბეჭდი წიგნებიც. ნაბეჭდი წიგნების სია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ერთი და იმავე ავტორის წიგნები ერთი ერთმანეთს მისდევდნენ.

ამასთან გამგეობა გთხოვთ, როდესაც სია იქნება დამზადებული და შემოწმებული, წიგნები არჩეული, მოიწვიოთ წიგნების ყუთებში ლამაზათ ჩამწყობი ოსტატი (ასეთი ოსტატს იშოვით „პასრედნიკის“ მაღაზიაში, ნევის პროსპექტზე, სომხების საყრდის სახლში) და თქვენივე თანდასწრებით ჩააწყობიოთ წიგნები ყუთებში და მისცეთ როსიის სააგენტოში, ხოლო სია ფოშტით გამოგვიგზავნოთ. წიგნები სტრახში უნდა მისცეთ ათი ათას მანეთში“.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მე-10 ტომის შენიშვნებში მითითებულია, რომ „დ. ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა (წიგნები და ხელნაწერები) მიღებულ იქმნა თბილისში 1892 წელს“. სამწუხაროდ, ალექსანდრე ხახანაშვილმა დავალების მთლიანად შესრულება ვერ შეძლო — მემკვიდრეებში მის მისიას აღფრთოვანება არ გამოუწვევია და გულუხვობა არ გამოუჩენიათ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო ჩუბინაშვილის მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილი. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა და ხელნაწერების დიდი ნაწილი 1922 წელს შალვა ამირანაშვილმა და აკაკი შანიძემ ჩამოიტანეს საქართველოში და ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერების ინსტიტუტში, ნაწილი კი გადაწილებულია სხვადასხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ვახტანგ ჭყონია



პირველი ქართული არალეგალური გაზეთი

წინ გვიდევს პირველი ქართული არალეგალური სოციალური გაზეთის — „დროშის“ სამი ნომრის პირი (მხოლოდ სამისა და ისიც პირი!) გაზეთი გამოცემულია 1873 წლის 1 აპრილს პარიზში. დაბეჭდილია ჰექტოგრაფზე, ფორმატი 21X27 სანტიმეტრი, თითოეული ნომერი ოთხი გვერდისაგან შედგება. სულ გამოსულა ათი ნომერი, თითოეული ას-ასი ცალი. ტირაჟი მცირეა, მნიშვნელობა დიდი — აი გაზეთის ანკეტური მონაცემები. ისტორიულად მნიშვნელოვანი და საინტერესო გაზეთის მესვეურნი იყვნენ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების სახელოვანი ქართველი მამულიშვილნი — გამოჩენილი პუბლიცისტი, სახელოვანი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, ცნობილი ჟურნალისტი, „დროებისა“ და „ივერიის“ თანამშრომელი დავით მიქელაძე (მეველე) და თბილისელი სომეხი, ქართულ-რუსული გაზეთების თანამშრომელი, თბილისის ქალაქის თავად ნამყოფი პაველ იზმაილოვი. სომონ ხუნდაძისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნიკო ნიკოლაძე წერდა: „თქვენ მეკითხებით თუ რა გარემოებაში ვბეჭდავდით ჩვენ, პარიზში 1873 წლის გაზაფხულზე, ქართულ გაზეთ „დროშას“, რომლის პირველი სამი ფურცელი სრულიად უცაბედად აღმოვაჩინე წარსულ დეკემბერში „ბრიტიშ მუზეუმი“-ს საწყობში. სიამოვნებით გაცნობებთ, რომ იმ გაზაფხულზე მოვხვდით პარიზს დათა მაჭელაძე, ქართულ მწერლობაში უფრო ცნობილი „მეველეს“ სახელით, პაველ იზმაილოვი, შემდეგ მყოფი თბილისის ქალაქის თავად და მე. იმ დროს მე ვმუშაობდი ქართული შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე. ამ ძიების დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვილებდა ლიტოგრაფიების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეული და აუწყობელ ანა ბანებს საშუალებას მისცემდა მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა ახალი ევროპული აზრების ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განეზრახეთ და კიდეც ავასრულეთ ათი სამაგალითო ფურცელი დაგვებეჭდა „დროშასი“.

გაზეთს ვბეჭდავდით ას-ას ცალს და მუქთად უგზავნიდით ქართველებს და კავკასიელებს, ვინც გვეგულებოდა ციურიხს, ჟენევაში, ვენაში და სხვ. გაგება არა მაქვს, ვის ჩარჩენია და შეუწირავს „ბრიტიშ მუზეუმისათვის“ სამი პირველი ცალი „დროშისა“, რომლის ასლი თქვენ ხელში გაქვთ“.

გაზეთის სამივე ნომრის მასალა წარმოდგენას გვაძლევს მის მიზანსა და მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ როგორ იღვწოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილნი.

გაზეთ „დროშას“ სათაური ლამაზად არის აღბეჭდილი გაშლილ დროშაზე, რომლის ფონზე კიაფობს ილია ჭავჭავაძის სიტყვები „თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, ხოლო სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს „ქართული სოციალური გაზეთი“.

გაზეთის პირველი ნომრის წინათქმაში ნიკო ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთის უმთავრეს დანიშნულებას: „სწორედ გასაკვირველი და გულმომკვლელი საქმეა, კაცი დღევანდელ გონიერების ცხოვრებას ესწრაფვოდეს და მის გაგებას კი არ ცდილობდეს, მის დაკვირვებას არ იწყებდეს და მისგან საკმაო ხელძღვანელი საფუძვლის გამოკრებას არ ყძებდეს. ჯერკის და დაბალი პირუტყვების მეტს არც ერთ გვამს არ უნდა სურდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსდგომა, გაყრუება და უმნიშვნელო, უმიზნო სიცოცხლე, მაგრამ ბევრი სულიერი ამ მხრივ ჯერკზე უარესია, ბევრი ცოცხლებს შუა ცხოვრობს და ცოცხლების ცხოვრებაში კი არ ურევია. დღეს ეს მით უფრო სამწუხარო და დამაღონებელი მოვლენაა, რომ ეხლანდელი ცხოვრება 1870 წლის ომის მადლით უწინდელ მის სიყრუიდან და სიბნელიდან გამოვიდა. დღეს ქვეყანა ევროპა ვაღვიძებულია. ყოველგან ისმის ჯაფშჯობესების სიტყვა, ჯაბლების სურვილი ჩანს, ცხოვრების წამყვანი ძალა მოქმედებს და ახალი წესის დაარსება იწყება... ახალი თაობა სამკვიდრებლის მისაღებად იარაზმება, მზადდება ახალი წესი და ვინ იცის როგორი პოლიტიკური მოვლენები. და ამ დროს ყრუ და ბრმად დარჩენა შეცდომა კი არაა მარტო, მძიმე დანაშაულობაა შემდეგი თაობის და ხალხის წინაშე.

ჩვენ ამნაირ შეცდომის და დანაშაულის თავიდან აცილება გვსურდა. გვსურდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის მაგალითი გვეჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ეხლანდელი ცხოვრების დაკვირვება და გაცნობა, ასე რომ კაცს ცხოვრებაში სამოქმედო ნელმძღვანელო აზრი და გამოცდილება ჰქონდეს, „დროშას“ მეტი მიზანი არ აქვს, ის სამიოდე ახალგაზრდას წევნებიდან ამოხეული თაბახებია, ის იმ მუსაიფების და სიტყვების გამოხატვაა, რომელსაც ეს ახალგაზრდები გამოთქვამენ ხოლმე, როცა გაგებულ ამბავს, შენიშნულ მოვლენებს, გაცნობილ აზრებს ერთმანეთს აცნობენ. ათი თაბახი საკმაოდ დაანახვებს მკითხველს ამჟვარ სამახსოვრო წიგნების და მუსაიფების სარგებლობას და საჭიროებას. და თუ „დროშამ“ ჩვენ ახალგაზრდობაში შორეული დაკვირვებისა და მომზადების სურვილი აღძრა, თუ მისი მაგალითი უკვალოდ და უნაყოფო არ გამოდგა, „დროშას“ მიზანი სრულებით მიღწეული იქნება“.

აქ არ შევუდგებით ყველა წერილის გაშიფვრას, საკმარისია ჩამოვთვალოთ წერილების სათაურები და ნათელი გახდება გაზეთის მაჯისცემა. პირველ ნომერში მოთავსებულია სტატიები: ნიკო ნიკოლაძე — „ეკლესია და სახელმწიფო“, „აღდგომა“, დავით მიქელაძე — „ვისი ბრალია“ და პაველ იზმაილოვი — „ჩვენი ახალგაზრდობის სიყალბე“. მეორე ნომერში: ნიკო ნიკოლაძე — „საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა“ და „თანამედროვე სურათები“, ღავით მიქელაძე — „სისულელე და უზრდელობა სიბრძნის მანტიაში“, პაველ იზმაილოვი — „ერობის თვითმმართველობა როგორ გამოგვადგება“ და ნიკოლაძისა და მიქელაძის მიერ შეკრებილი „ნა წყვეტ-ნაწყვეტი ამბები“; „ყველა კავკასიელი ხალხის თავისუფალი ფედერაცია“, მესამე ნომერში: ნიკო ნიკოლაძე — „პარტიული დისციპლინა“, „თანამედროვე სურათები“ და „ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები“, დავით მიქელაძე — „რას უნდა ვეცადოთ!“

გაზეთის თემატიკა მრავალფეროვანია და მისი ძირითადი არსი ამ სამი ნომრის გაცნობითაც შეიძლება დადგინდეს, „დროშის“ მესვეურნი უმთავრესად დაინტერესებული ყოფილან მუშათა მოძრაობით, სოციალიზმის პრობლემებით, ეროვნული, ისტორიული და სხვა ხასიათის საკითხებითა და საგარეო პოლიტიკით, სამწუხაროა, რომ ამ ისტორიული მნიშვნელობის გაზეთის მხოლოდ სამდასამი ნომრის პირი ინახება თბილისში კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში (ნიკო ნიკოლაძის არქივი 37-1,2). მისი ორიგინალები კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, „ბრიტიშ მუზეუმშია“ დაცული.

ნადია მეგალიშვილი

●

რედაქციისაგან:

გაზეთ „დროშის“ დანარჩენი ნომრების არსებობა უფრო საზღვარგარეთ არის საკარაუდო, ამიტომ თქვენ საზღვარგარეთ მცხოვრებო თანამემამულენო, შეგვატყობინეთ — დაგვეხმარით „დროშის“ დაკარგული ნომრების მიგნებაში.

(შემოკლებული ნაწყვეტი მოთხრობიდან)

დამთავრდა ომი. ტყვეების ბანაკიდან განთავისუფლებული ზურაბი (ყორუად წოდებული) და მისი თანასოფლელი ბეჟანი (უნათლიოდ უანად მონათლული) დიდხანს დაბორიალებდნენ პარიზის ქუჩებში. დეპარტამენტიდან მიღებული ცნობის თანახმად მათ შეეძლოთ პარიზში ცხოვრება საქმეში ჩაუდგომლად, ე. ი. შეეძლოთ ეოცნებათ, ეშოვათ დღიური სამუშაო, მოჯამაგირედ დასდგომოდნენ ვინმეს კაპიკის ფასად, მაგრამ შრომის — ადამიანური ღირსების ეს უპირველესი უფლება — აყრილი ჰქონდათ. რაკი პირველადვე თავი ვერ მოაბეს სამშობლოში დაბრუნების საქმეს, ჰპყვნენ ათასგვარ მითქმა-მოთქმას, პარიზმაც არ გაუმართლათ, ბედის საცდელად მარსელში გადასახლდნენ, აქაც ვერაფერს მიაღწიეს, ორიოდ გროში შეაკოწიწეს და საფრანგეთში ათწლიანი ხეტიალის შემდეგ არგენტინაში მიმავალ სატვირთო გემზე მეზღვაურებად ჩადგნენ და ბუენოს-აირესში ამოჰყვეს თავი. ჯერ კიდევ ბანაკში, მერე კი საფრანგეთში ათწლიანი ხეტიალის შედეგად ისწავლეს დურგლობა, კალატოზობა, მეთუნუქეობა, სანტექნიკოსის ხელობა და მრავალი სხვა. არგენტინაში შეიამხანაგეს მიშელად გადარქმეული ჩოხატაურელი მიხაკო და ბუენოს-აირესის განაპირა უბანში ნაქირავებ ოროთახიან ხუხულაში დაბანაკებულნი შემთხვევით ნაშოვნი სამუშაოთი ირჩენდნენ თავს. მთავარმა გმირმა ზურაბმა, რომლის სახელითაც არის დაწერილი მოთხრობა, ამ ჟეებერთელა ქალაქის ერთ-ერთი კაბარის მოცეკვავე ფრანგი ქალი შეირთო და ნაქირავები ჭოხის ორიდან ერთ სადგომში დაიდო ბინა ცოლითა და ბიჭუნათი, რომელსაც მამის პატივსაცემად გელა დაარქვა, და რომელიც ამ დროისათვის უკვე სამი წლის იყო.

არგენტინელმა თავსხმამ გადაიღო, იძალა მზემ.

საქმე მივატოვე და ქუჩაში გამოვედი.

მზის სხივებითა და ვეებერთელა ფანჯრის მინებით გაბდღვრიალებულ ჰოტელ „პლასთან“ კუთხე მოვხარე და ხალხით მოფუფუთე ქუჩაზე გავედი. ადამიანებს უკვე მოესწროთ გარეთ გამოშლა, ჭიანჭველებივით წინ და უკან დაფუსფუსებდნენ ფლორიდის უბანში. ახალ ნაავდრალზე მოხვავებული ივლისის მზის პაპანება ოფლად უპრიალებდათ ქუჩაზე გამოფენილ სამხრეთ-ამერიკელებს, წარმოშობა, ეროვნება და კანის ფერი ერთმანეთში რომ არეოდათ წინაპართა უთვისტომობისა თუ მრავალტომობის მიზეზით.

არგენტინელი! — ვიღას სისხლი არ ურევია თითოეული მათგანის გულსა და სულში, ვიღა არ უდგას მეკვლედ მათი წარმოშობის სათავეს — ზანგი და ესპანელი, ფრანგი და ინდიელი, ებრაელი და არაბი, ინგლისელი და გერმანელი. ვინ მოთვლის დუნიის უთვალავ ერთა შვილებისა თუ შვილიშვილების ათასნაირ შეწყვილებასა და შეჯვარებას, ესოდენ გარდუვალი საწყისი რომ არის ერთა დაახლოებისა, დანათესავებისა, ან სულაც გაწურჩეველი აღრევისა ამ საფუძვლიანი ახირებების ეპოქაში, რომელშიც მოქალაქეობრივი თუ სოციალური საწყისი ფარავს ეროვნულ ჩაკეტილობას, რასაც ესოდენ გულმოდგინედ დასთათბირებენ პატარა და ფესვგამდგარი ხალხების მართალი-თუ ისტორიით გამტყუნებული ერისკაცნი. პური, ხორცი, წყალი, ჰაერი — აი, უპირველესი და უმთავრესი სამხილები მეოცე საუკუნის ადამიანთა კონსოლიდაციისა.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა დანდობილად ფეხი შევდგი ერთ მდიდრულ მაღაზიაში, როკფელერის ერთი ის ცამეტთაგანი საკუთრება რომ იყო, რომლებიც პატრონის არგენტინაში სტუმრობის საპროტესტოდ დაუნდობლად დაწვეს არგენტინელებმა. დიდი ხანია ვოცნებობდი იქ შესვლას, ვერ კი გებედა იმ მოკრძალებითა და მორიდებით დაოსებულს, უფულობით დასნეულებულ ქართველ კაცს რომ მოერევა ხოლმე გაქსუებული ოცნებებისა და ჩაფუშული იმედების საბადლოდ. მაგრამ, იმავე ქართველს საკმარისია ორიოდ გროში აუჭყაველდეს ჯიბეში, რომ მყისვე ხელიც აუქავდეს, საღერღელიც აეშალოს ყოველი, ნირიც შეეცვალოს და ფერიც, ძალა მომატოს და კაცად იგრძნოს თავი. მეც ჩემებისაგან გამონაკლისი როდი ვიყავი, ამით მაინც.

წინა კვირას, 26 ივნისს, დიდი ხნის წინათ ჩვენგან მოუკითხავად გაპარული ბედი შემოგვეყარა, სარფიანი საქმე ჩაგვივარდა ხელში — მეხუთე დღე იყო, რაც ბუენოს-აირესელი ერთი მილიონერის ქვრივის სახლი ავიღეთ შესაკეთებლად მე, ბეჟანმა და ჩოხატაურელმა მიხაკომ, გამრჯე და ყველაფერში ხელმარჯვე ოსტატმა. უცნაური იყო, მაგრამ ეს ოქროსხელებიანი გურული ვაჟკაცი საქმის საშოვარში უნიათო გახლდათ და ჩვენი — ტეტიების, დაუხმარებლად მშიერი თუ არ მოკვდებოდა, დიდიც აღარაფერი დააკლდებოდა.

ახალგაზრდა გერმანელ ქალს ბებერი მილიონერი ქმარი სულ რამდენიმე თვის წინათ მიებარებინა მიწისათვის და საქმის გასახლებლად, ახალი ცხოვრების დასაწყებად თადარიგს იჭერდა. იმ თადარიგით უპირველესად ორსართულიანი, მდიდრული სახლის შეკეთება-შელამაზება გადაეწყვიტა. დანიშნულ დროს განცხადებით რომ მივაკითხეთ, ვეებერთელა ბალით შემორტყმული პატარა სასახლის შორახლოს მოწყობილ ფანჩატურში ბარე ორმოცამდე ჩვენნაირი ბედისმაძიებელი აღმოჩნდა. ჩექმებსა და შარვალში კოხტად გამოწყობილმა ქვრივმა თავისი ლამაზი ცისფერი თვალები მაშინვე დაადგა ჩვენს ომახიან შავტუხა ბეჟანს და თავისთან იხმო, დანარჩენებს კი ჭიშკრისაკენ ანიშნა.

უნდა შეგვეკეთებინა სახურავი და საწვიმარი მილები, დამსკდარი ბათქაში გარედან, ანტრესოლში დაბზარული მარმარილოს ფილები გამოგვეცვალა, ზედა და ქვედა სართულის სააბაზანოებში ძველი ონკანები და შხეფები ახლით შეგვეცვალა და დაგვედგა ახალი ყაიდის ქვეშსაბანები, შეგვეღება ხისმოჯირიანი აივანი, საწოლი ოთახიდან ყვავილნარს რომ გადაჰყურებდა, და კიდევ მრავალი წვრილმანი უნდა მოგვეწესრიგებინა. სამაგიეროდ ქალბატონი ჰერტა გვაძლევდა კარგ გასამრჯელოს, დღეში სამჯერ გვაჭმევდა თავის სამზარეულოდან, ოღონდ სასმელის გარეშე, — როგორც თვითონ განგვიმარტა კარგად გამართული ფრანგულით, ალკოჰოლის მიღებას შეიძლებოდა სამუშაოს ხარისხზე ემოქმედა. გამონაკლისს შეადგენდა ბეჟანი, რომელსაც ქალმა „შეფი“ შეარქვა და ყოველ საღამოს თავისთან იტოვებდა დღიური ნამუშევრის ერთობლივი შემოწმების საბაბით, მერე კი გვიან ღამით უშვებდა შინ..

სწორედ იმ სასმელის უკმარობამ გამომიყვანა შუადღის შესვენებაზე და თავი ამომაყოფინა ჩემს საოცნებო მაღაზიაში — ქვრივისაგან მალულად სამთავენი ესვამდით სადილად თითო ბოთლ თეთრ ღვინოს, ურომლისოდაც როგორღაც საქმეც ვერ გამოგვდიოდა. ავანსად მიღებული ფულით გათამამებული ისე ჩავუყევი ათასნაირი სურსათ-სანოვაგით გატენილი მინი-მაკრის მაღაზიის ვიტრინებსა და დახლებს, თითქოს მამაჩემი ყრუ-ნიკას შვილი კი არა, რომელიღაც დიდგვაროვანი პრინცი ვყოფილიყავი უბრალოა, სასპორტო შარვალ-პერანგის ამარა ხალხში გამოსული.

ძებვეულობის დახლთან შევჩერდი და თვალს წყალი დავალევინე — ჯერ კიდევ გუშინწინ დაქიმიტებული თვალით შევხედავდი ამ მადლიანად დაბრაწული ლორის ნაჭრებსა და ათასნაირ ძეხვეულს, ესოდენ მადისაღმძვრელად რომ დაეხვავებინათ შემინულ მაცივრებში. დღეს კი ქალბატონ ჰერტას, უმალ კი ჩვენი ბეჟანის წყალობით, გვარიანად გულნაჯერები გახლდით, თუმცა შინ წასაღებად მაინც ვიყიდე ძეხვიც, ლორიცა და ახალი თევზიც. ის იყო ღვინის ბოთლები ჩავაწყევ საგულდაგულოდ წამოღებულ ხელჩანთაში, რომ ვიღაც ჩია, კაფანდარა კაცი მომიახლოვდა და ფრანგულად გამომელაპარაკა.

— მუსიო, შეიძლება მოგმართოთ?

— რა გნებავთ? — შევეკითხე და უცნობი თავიდან ფეხებამდე ჩავათვალიერე. საშუალო ტანისა და ასაკის ქერა კაფანდარას გაპობილი მეჩხერი თმა ლამის მხრებამდე ჩამოშლოდა, გაუპარსავ, ჩაყვითლებულ სახეზე ძვალ-ტყავად ქცეული ცხვირი მიკრულივით უჩანდა. ხელებზე მოდებული სილურჯისაგან უარესად დაკვრანჩხლულ თითზე ჭიანა კბილებით ფრჩხილს იკვნეტდა, თან ბრიყვივით მომშტერებოდა უპეებში ჩაცვივნული ჭრელი თვალებით, მოხარშულ თევზს რომ უგავდა.

— მუსიო, ძალიან ლამაზი ცოლი მყავს...

— მერე მე რა?

— ფული მინდა.

— მე რა შუაში ვარ?

— თქვენ ჩემი ცოლი, მე კი ფული... აგერ, გაიხედეთ, — თან თვალებით მანიშნა ოდნავ მოშორებით მდგომ ქალზე, რომელიც ღვთაებრივი შერუჯული სახითა და ჩითის მოკლე კაბაში გამოკვეთილი ჩამოქნილი ტანით ჭეშმარიტად ზღაპრულ სილამაზეს აფრქვევდა.

— ეგ თქვენი ცოლია?

— გიკვირთ? — უმალ ცინიკურად, ვიდრე მწარედ ჩაიცინა კაფანდარამ. — დროს ნუ დავკარგავთ, ნუ მომერიდებით. ჩემდამი მისი მონური მორჩილება თქვენი წარმატების უტყუარი საწინდარია. თან არც ისეთი ღატაკი ვარ, როგორც, ალბათ, გგონივართ. მამაჩემის პლანტაციები... თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს, მე ფული მინდა, მამაჩემმა კი ყველა გზა მომიჭრა. ერთადერთი ხსნა ჩემი მულატის სილამაზეა. მეხედეთ, ჯეირანივით როგორ მოუღერებია თავი და როგორ ჭურდულად გათვალიერებთ. მისთვის მე მხოლოდ პატრონი ვარ, მეტი არაფერი, ისე რომ, თქვენ ორთავეს — მეცა და იმასაც დაგვდებთ პატივს.., თან სულსაც მომათქმევინებთ, თორემ ლამის დავიხრჩო...

უსიტყვოდ გავშორდი დაჩივებულ ნარკომანს, რომელმაც ჩემს სახეზე ამოიკითხა ზიზღში ნარევი სიბრალული, რასაც გამალებით ჩაეღაუჭა, ზიზღს კი საგულდაგულოდ მოუხუჭა თვალი ყველა ჯურის ნაკაცარის წესით. ნარკომანი ფეხდაფეხ ამედევნა. ცალი თვალით შევნიშნე, რომ მისი ცოლიც შორიახლო მოგვდევდა გაწირული ხმისაგით. თავს ძალა დავატანე და გარეთ გამოსული მტკიცე ნაბიჯით გავშორდი ცდუნებას — მეშინოდა ადამიანურ სულმოკლეობას არ დავჯაბნე და ამ კაცური დაცვით უნებურად არ მესარგებლა... ნარკომანს ძალა აღარ ეყო, სიმტკიცის ნატამალმაც უმტყუნა და ჩამომცილდა, მე კი ბიჭებს მივაშურე სწორედ იმ ფანჩატურში, რომელშიც ორიოდ დღის წინათ ქალბატონმა ჰერტამ დაგვიჭირავა.

მოახლეს საჭმელი უკვე მოეტანა და ხელ-პირდაბანილი ბიჭები მეღა მელოდებოდნენ.

— სად იყავი, შე კაცო? — შემომსაყვედურა მიხაკომ.

ნარკომანის ამბავი ვუთხარი.

— არ უნდა გაგეშვა. — ნართაულად ჩაიცინა ბეჟანმა.

— ნუ სულელობ რაცხას! — შეუტია მიხაკომ. — უჰ, იტყვის მისთანას, რომე საკაცეთს შეგაძულებს. დაასხი მაი ღვინო!

— შეუხედე ყველა ოხერს სინდის-ნამუსი და კაი დახლიც დაგადგება, შენმა მზემ. ამ დუნიას შენ გაასწორებ თუ მე?

— ნუ სულელობ რაცხას. დამალევინე ეს დალოცვილი, ჰე, თქვი რამე, ზურაბ.

— შინ დარჩენილებს გაუმარჯოს, ჩვენს საქართველოს ცასა და მიწას ვენაცვალე, უნახავათ ნუ დავხოცილიყავით, შინმოუსვლელები არ ეთქვათ ჩვენზე.

— ამინ! — დინჯად წარმოთქვა ორივემ ერთად და ჭიქები გამოვცალეთ, ნარკომანიც გადაგვავიწყდა და გზაარეული მულატის სილამაზეც. ეს არის კაცად წოდებული ადამიანის ბედნიერი თვისება — ადვილად იგდებს გულიდან სხვის უბედურებას.

საღამოს სამივენი ერთად წავედით შინ — ქალბატონი ჰერტა სადღაც წაბრძანებულიყო. შინისაკენ გზად მიმავლებმა შევიარეთ რესტორანში, სადაც სხვაზე უფრო ხშირად თავს იყრიდნენ ხოლმე ქართველები.

— ჰელო, ჟან! აქეთ, აქეთ მობრძანდით.

გრძელ მაგიდას ხუთი ქართველი უჯდა. მისალმების ნიშნად ბეჟანმა ხელი მაღლა შემართა. ჩვენც ვიცნობდით ყველას, მაგრამ იმათმა მოთავემ ჟორჟმა, რომლის ნამდვილი გვარი, სახელი, წარმოშობა და ვინაობა ჩვენში არავინ იცოდა, საგულდაგულოდ ბეჟანს გამოსძახა. მაგიდასთან მივედით და თავპატივის დაუდებლად მივუსხედით, ესეთი იყო ჩვენი — არგენტინაში მცხოვრები ქართველების — დაუწერელი წესი. მყისვე გამოცხადებულ ოფიციანტს სასმელ-საჭმელი დავუკვეთეთ და მასლაათი გავაბით. ბეჟანი სიცილით მოჰყვა ნარკომანთან ჩემი შეხვედრის ამბავს. ჟორჟმა მისეულ დაცინვას ხმა აუწყო.

— საერთოდ ვამჩნევ, რომ მაგ შენს ზურაბს ბევრი რამ ეშლება, — დასკვნასავით მოუჭრა მან ბეჟანს, რომელმაც უკვე მოასწრო ორი გვარიანი ორთობელის გამოცლა, მაგრამ ნათქვამს მაინც წაუყრუა. არც მე ავხირებულვარ, თუმცა ყური კი ვცქვიტე. ჟორჟმა ყურადღების გამახვილება შემატყო და კვლავაც გაიმეორა, — ჰო, ბეჟან, შენ გეუბნები და ნუ გატრუნულხარ — მაგ შენს ზურაბს ბევრი რამ ეშლება, ძალიან ბევრი რამ... და ურჩიე, რომ ჭაუას ფეხი დაატიროს, თორემ...

მაგიდა გაირინდა, ერთმანეთისათვის არავის გადაუხედია, მაგრამ საუბარიც შეწყვიტეს და ჭამაც, ჟორჟმა კი იქ მსხდომთ ალეწილ სახეზე მობრიალე თვალები მოავლო.

— თორემ, რაო? — ჩავეკითხე მე.

— თორემ ისა, რომ დედის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის ფარაო.

— ვერც დედას ვხედავ, ვერც კვიცი მიცნია, მგლისა და მგლის ფარისა კი ბავშვობაშიც არ მშინებია.

— შენ არავინ გეკითხება, მე ბეჟანს ველაპარაკები.

— როგორ თუ არავინ ეკითხება, — ხმადაბლა, მაგრამ მკვახედ მოუჭრა ბეჟანმა, — ამის სახელს ახსენებ, ამისავე მისამართით მგლის ფარით იმუქრები და არავინ ეკითხებაო. თუ ამას არ ეკითხება, მაშინ მე მიპასუხე — რა გინდა ამისაგან?

— თვითონაც კარგად იცი.

— მაინც?

— როდრიგოს ჰენიასზე წაწყალს და შპიონობას მოეშვი.

გული ღამის საგულეებიდან ამომივარდა, თავში თითქოს რაღაცამ დამკრა და ფეხებამდე ელდასავით დამიარა. მერე რომის სამკუთხა ბოთლს გავხედე, ჩემს წინ რომ იდგა, მაგრამ თავი შევიკავე და ბეჟანთან ათწლიანი მეგობრობის მანძილზე შეუთანხმებლად დადგენილი კანონის ნებას დავემორჩილე — როცა ის ლაპარაკობდა, წინ არ ვუხტებოდი, ჩემს სათქმელსა და საქმეს ბეჟანს ვანდობდი.

ბეჟანს არავისათვის შეუხედავს, გაიხედა ესტრადისაკენ, რომელზეც ლამის შიშველი ზანგის ქალები ცეკვავდნენ ჯაზის დაბალი მუსიკის ხმაზე, და მკვახედ მოჭრა.

— როდრიგოს ჰენიასზე სიარული შპიონობას არ ნიშნავს, იქ ჩვენი სამშობლოს ნაწილიც არის, სამშობლოსაკენ გულის გახეთქვა კი სათაკილო არც ყოფილა, არც იქნება — ეს ერთი. მეორე — შენი მგლობა შენთვის, ან სხვა ვინმესთვის შეინახე, გამოგადგება. მესამე — ზურაბის გალანძღვა, ჩემი გალანძღვაა... ბოლოს კი, იქნებ გაგვაგებინო, ვინა ხარ და რას იჭიმები?

ჟორჟს სახეზე დამცინავი ღიმილი შეეყინა, რომელშიც უმალ შეოკებული ბოროტება ღვიოდა, ვიდრე ირონია. ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ მის გვერდით მჯდომმა ნაადრევად გამელოტებულმა ბონდომ დაასწრო.

— ვინცა ვართ და რაცა ვართ, ამას კარგად დაგანახვებთ, თუ იქ წანწალს არ მოიშლით.

— შე კაცო, რას ყირაობთ ვერ გამიგია, — დანდობილად ჩაერია ლაპარაკში მიხაკო, რომელსაც ეტყობოდა მოთმინება აღარ ეყო. — ამ კაცს სამშობლოში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი და ვისი რა საქმეა, თუკი იმიზა ხალხში დეიარება.

— საქართველოში დაბრუნება ჩვენი, საერთო საქმეა და დაუკითხავად იქ წანწალის ნებას არავის მივცემთ, — კვლავ განაგრძო მელოტმა. — იქით წასვლა საერთო საქმის ღალატს უდრის, მოღალატეს კი ჩვენც რომ არაფერი ვუყოთ, იქანა თვითონ მოუვლიან, ჩვენ მხოლოდ იმათ ჩავუწვეთებთ და მოვრჩა — მივწერთ, რომ ამა და ამ კაცმა, თქვენ რომ შინ დაბრუნების ნება მიეცით, ტყვედ ყოფნისას ამდენი და ამდენი კომუნისტი გასცა-თქო გესტაპოს, ამდენი ოფიცერი დაასმინა-თქო, ჰოდა, იმათაც მეტი აღარაფერი უნდათ, საშშობლოს მაგიერად ციმბირში უკრავენ თავს.

— შპიონი ეს კი არა, თქვენ ყოფილხართ, თქვე დალოცვილებო! — აფორიაქდა მიხაკო, — მერედა, მასეთ ცილისწამებას ვინ დეიჯერებს, შე კაცო, დაბრალება ყველას შეუძლია, მარტყვილის დამტკიცება ძნელია.

— შენ შენთვის დაეტიე მანდ, — შეუტია მიხაკოს ბონდომ — მანამდე საქმეს არც მივიყვანთ, ჩვენ მაგას აქვე გავუსწორდებით... ოჯახურად. — მრუდედ ჩაურთო ჟორჟმა.

— რას იქადნები, შე კაცო, ფირალთან ხომ არ გაქვს საქმე!— იძალა სიფიცხემ მიხაკოში, მერე აფორიაქებული განწყობილებ რომ დაემშვიდებინა, ხმას დაუწია და განაგრძო: — გურიაშ ერთი კაი ყმაწვილი იყო, მარა დამამზადებლად მუშაობდა ცოტა ფული შემოეხარჯა. შეშინდა, ფირალად გავარდა. გავარ დაო — და მისმა უფროსებმა რაცხა დანაკლისი ჭონდათ, სუ მას მიაწერეს, ლამის მილიონი გამოუვიდა. ბიჭმა რომ გეიგ ასე და ასეაო, თავს უნდა ვუშველოო და ქედაში საზღვარს მი ადგა. ერთი კაი რაიკომის მდივანი იყო, კაცური კაი კაცი, ხა ხი მიუგზავნა და იქეთ აღარ გოუშვა, თავისთან მოაყვანინა კ ბინებში, იქეთ ოთახში დამალა და მის უფროსებს დოუძახა — აბა, რამდენი გეიტაცა იმანო. მოხსნეს გუდა, ამან კი ის კაც გამეიყვანა და პირზე ჯოუყენა უფროსებს, რომელსაც ის უკ საზღვარგარეთ გასული ეგონათ. დაფრთხენ და სიმართლე დაჭვეს. რაიკომის მდივანმა, ააშენა მისი ოჯახი, ყველას თავ-თ ვისი წილი დაადებინა, ის ნაყაჩაღარი კი შემოირიგა და დღ საც ბედნიერად ბერდება თავის ოჯახში — ჩემი ძმაა! ჰოდა, ამ მისთანა არაფერი ჩოუდენია და ვინ რას ერჩის?

— რაც ჩაიდინა, ჩვენ ვიცით!

— რაც არ ჩაუდენია, იმასაც ზედ ავკიდებთ!

— ფიცის გამტეხს, ფიცითვე დავსჯით! — ისევ ჩაურ თო მელოტისა და მისი ამფსონის ნათქვამს ჟორჟმა.

— ჩვენ შენთვის ფიცი არ მოგვიცია და ყურებზე ხახვს ვერ დაგვაჭრი. — მოუჭრა ბეჟანმა და წამოდგა...

— დედას გიტირებთ ორივეს!

— ფეხებსაც ვერ მოგვჭამ, შე რეტიანო!

ჟორჟმა ბოთლი მოუწია დანდობილად. ბედად არავის მოხ ვედრია, რომელიღაც ცარიელ მაგიდაზე გაწყობილი ჭურჭელ მიფშვნა და თვითონაც ნამსხვრევებად იქცა. ბეჟანმა დაჭრილ მხეცივით გაიწია, მაგრამ მე და მიხაკომ დროზე მივუსწარი დავაოკეთ. ამასობაში მეტრდოტელიც გამოჩნდა და სუფრა აიშალა. ჩვენი დანახარჯი ბეჟანმა ცალკე აანგარიშებინა, გადა ხადა და სამივენი ერთად გამოვედით, დანარჩენებმა კი გადა ფითრებული ჟორჟის დაშოშმინება ითავეს — უკვე მეორე შეთვევა იყო, რომ არგენტინელი ქართველების არამკითხე ბ ლად პირში ჩალა გამოავლეს.

• • •

სამი წლის გელას მეზობლის დედაბერი ადგა თავზე — სა ღამოობით, დედამისი რომ სამუშაოზე მიდიოდა, თუ მე შინ ა ვიყავი, ბავშვს უტოვებდა ახლის პატრონის დედას, რომ ლიც ჩვენს მოსვლამდე ბიჭს საკუთარი შვილივით დასტრიალ ბდა. ის დედაბერიც წარმოშობით ფრანგი იყო და მარსელ თანაუგრძნობდა. მე და მარსელა კი მის წინაშე ვალში არ ვრჩებოდით, ხან რას მივართმევდით, ხან რას.

როგორც კი შინ შევედი, დედაბერი ჩვეულებისამებრ ფეხზ წამოდგა და გავიდა. გელას საბანი გადაეღება, მარჯვენა შინ ველი ფეხი გამოეჩინა, დამუშტული ხელები თავისაკენ აეყარ ბალიშზე და გულაღმა გალაღებული გემრიელად ფშვინავდა. ნ კაპსა და ტუჩებზე ოფლის წვეთები უბრწყინავდნენ, ერთი ცი ქნა პირი კი ოდნავ დაეღო. ჩავიმუხლე, საბანი ავხადე და დ დიშობილას ზედ ჩიტი-გვრიტზე ვაკოცე, მერე ცხვირსახოცი ამო ვიღე, საჩვენებელ თითზე დავიხვიე და ტუჩებზე, ნიკაპზე, ყურ ძირებში და კისერთან ოფლი შევუმშრალე. ბიჭი ოდნავ შეირხ კედლისაკენ გადაბრუნდა და ბალღურად უდარდელი, გემრიელ ფშვინვა განაგრძო.

ბიჭები გვერდით ოთახში დაწვნენ და ხვრინვაც მალე ამოუ

ვეს. მიხაკო მაინც შემზარავად ხრიალებდა, გეგონებოდათ ეს-ეს არის უნდა დაიხრჩოსო. ხშირად ყოფილა, გავსულვარ და მუჯლუგუნი წამიკრავს. ის კი ცოტა ხნით გაჩერებულა, მერე კვლავ გავუყრუებივართ. დღეს ბეჟანიც თითქოს საგანგებოდ ეჯიბრებოდა თავის მესაყუდრეს და მათ პატარა გომურში ისეთი გრგვინვა იდგა, კაცი იფიქრებდა, საცაა ჭერი ჩამოიქცევაო.

მარსელა გათენებისას მოჰყავდა ტაქსით ზანგ ჯოს, მასთან ერთად რომ ცეკვავდა. შეუღლების პირველ ხანებში მე ვხვდებოდი წამოსაყვანად; მერე დავიღალე, ქუჩაში ლოდინი გამიჭირდა, [...]ან გელას შემდეგ გულიც აღარ მითმენდა და შინიდან გათენებისას გასვლაც აღარ შემეძლო, ბიჭის მარტო დატოვება მიჭირდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეჭვიანობის გრძნობა ცხოვრებით გაყვინიზებულთა სამხილია, მე კი ამ ფუფუნების უფლება ადრე თუ არ მომესპო, გვარიანად მაინც მომიჩლუნგდა, მერე ჯომ შემომთავაზა თავისი სამსახური და მეც იოლად დავთანხმდი, სხვა [...]რა ჩარა იყო. ბიჭები ერთხანს თავს იდებდნენ, მიჯავრდებოდნენ, თავიანთ სამსახურს მთავაზობდნენ — გელას თვალყურს ჩვენ ვადევნებთო. მაგრამ ამიდანაც არაფერი გამოვიდა... მოდიოდა გათენებისას, მე ადრიან ვდგებოდი, საუზმეს ვამზადებდი და თუ სამუშაო გვქონდა, მძინარე დედა-შვილს ვუტოვებდი, თუ არა და ბიჭის გაღვიძებას დაველოდებოდი, ვუპატრონებდი, მერე გაღვიძებულ დედას გადავაბარებდი, თვითონ კი დათქმულ ადგილზე ბიჭებს მივაშურებდი.

ოჯახი... რისი ოჯახი, რა ოჯახი! იყო რაღაც ევროპული თუ [ა]მერიკული პაროდია ვაიოჯახისა, მეოცე საუკუნეს რომ მოეტანა [ქ]ალის ემანსიპაციის, კაცის დაჩიავებისა და ბავშვის გაუზრდელობის დასაკანონებლად.

დღესაც დილის ოთხი საათი იყო, რომ მოვიდა. ტანთ გაი[ხ]ადა და გვერდით მომიწვა, არც იმას შეუწუხებია თავი, არც მე [მ]ივძალებულვარ საალერსოდ, თუმცა გამოფხიზლებული კი ვიყა[ვ]ი. ვიწექით, როგორც ფრონტელი ამხანაგები.

— რატომ არ გძინავს?



…ალდათ!

…რ[illegible]აშვილი

— რა ვიცი.

— შეგემთხვა რამე?

— არაფერი.

— ვიზის საქმე როგორ არის?

— შენ რა იცი? — შევეკითხე ელდანაკრავივით.

— ვიცი. — მომიგო მშვიდად.

— მაინც, ვინ გითხრა?

— ესტრადაზე ვიღაცამ წერილი შემომიგზავნა.

— რა ეწერა?

— ჩანთაში მაქვს, წაიკითხე.

[…]ბანი გადავიხადე, მარსელას გადავაბიჯე, ჩანთას ვეცი. [...]ცლის ნაგლეჯზე ფრანგულად ეწერა:

„[…]ადამ მარსელა! თქვენი ქმარი ზურაბი აპირებს საქართვე[ლო]ში გაპარვას და თქვენი შვილის თან წაყვანას. ამისათვის [...]ის საბჭოთა საელჩოში და დღე-დღეზე ელოდება ვიზას, [...]ც შპიონობისათვის აძლევენ. უფრთხილდით! ნუ ანდობთ [...]სა და ფულს ან საგანძურს!

თქვენი კეთილისმყოფელი".

— ვინ გამოგიგზავნა?

— ვინ იქნებოდნენ, თუ არა თქვენები. — მარსელა ისე მშვი[დად] ლაპარაკობდა, რომ როგორღაც გულიც კი მეტკინა, — [...] ესოდენ იოლად ურიგდება ჩემთან განშორებას-მეთქი. — [...]ინდა სიმართლე გითხრა, სწორედ გადაგიწყვეტია...

— როგორ?!

— მაგას რა გაგება უნდა: მე შენ ცოლად არ გამოგადგები, [...] დედად ვარგივარ, თუმცა გელა ძალიან მიყვარს, აბა, რა [...] ვარ! კარგად არის თუ ავად, შენ უვლი, მძინარესაც [...]ეხიზელსაც. მე რომ შინიდან მივდივარ, ზედაც არ მიყუ[...] შენი წასვლა კი მისთვის ტრაგედიაა. ავად როცა ყოფილა, [...] სწერია, მე ღამე არ გამიტეხია, შენ კი თვალიც არასოდეს [...]უჭავს. ვერ ვხედავ, ბრმა ხომ არა ვარ.

— კი, მაგრამ...

— მოიცა! შენ იმ საელჩოში დიდი ხანია დადიხარ. ჯერ [...] ერთი წლის წინათ მივიღე პირველი ბარათი, მაგრამ [...]ერი გითხარი, მაშინ გავიგე, რომ შენს სოფელში ცოლიც [...]ია.

— ტყუილია! დედაჩემი, რომელიც პაპაჩემისეული ოჯახის შესანარჩუნებლად შინ მიბრუნებულიყო ჩემგან წერილის [...]ის შემდეგ, ბევრს ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. [...] ისე კი, მამა-შვილს ერთნაირი ბედი გქონიათ — შენც [...]ოდ იზრდებოდი და ჩემს გელასაც, ალბათ, უდედობა [...]ა.

[...] თქმა და ტირილის ავარდნა ერთი იყო. მწარედ ატირ[...]ვე მწარედ, როგორც არასოდეს არ ეტირა, მაშინაც კი, [...] თავისი დედის სიკვდილი და დაკრძალვა აუწყეს პარი[...]. ტიროდა და იმ ტირილს გულში იბრუნებდა, გული კი [...] ველარ იტევდა. გვერდით ოთახში ბიჭებმა ხვრინვაც [...]წყვიტეს — არის ქვეყნად რაღაც დიდი მწუხარება, რო[...] მძინარე ადამიანსაც კი გადაედება ხოლმე შორიდან... [...]და ქალი, ცოლი, დედა, ტიროდა დედა, რომელიც დრომ [...]მმა, ხელმოკლეობამ თუ ლუკმა-პურისათვის ყოველ[...]მა ზრუნვამ დაბინდა ბურუსით მოცულ ჩემს გონებაში.

[...]ამდენი ხანია ერთად ვართ და თუ დაიჯერებ, მე კი მინ[...]რი (პირველად მომმართა ქართულ ყაიდაზე), დაიჯერო, [...]ეიძლება ცუდი ცოლი ვიყავი, მაგრამ შენთვის არასო[...] მიღალატია... ვიცი, შენ ამას არ დამიჯერებ, მაგრამ...

[...] რატომაც არ დაგიჯერებ...

[...]რომ გჯეროდეს, ესე ადვილად არ გამწირავდი.

[...] სიმართლეს ამბობდა.

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ!

[...]თუ წავედი, თქვენც თან წაგიყვანთ, თავიდანვე აგრე მქონდა ჩაფიქრებული, — ვაცრუე ქალის ცრემლით გულგამლღვალმა.

— არა, შენ ეგრე არ გიფიქრია, თორემ წინასწარ მეტყოდი რამეს, არა! შენ ჩემგან ქურდულად გინდოდა წასვლა, გინდოდა გაგექარცვე...

— რას ამბობ!

— არა. მე ქონებას არა ვგულისხმობ, რა მაქვს, რა უნდა წაიღო! რომც მქონდეს, ვიცი, შენ ხელს არაფერს ახლებდი, შენ ჩემი უმთავრესი ქონების, ჩემი ბიჭის მოპარვა გქონდა განზრახული. იქნებ ეს უკეთესიც ყოფილიყო... ჩემთვის მაინც... გავიღვიძებდი ერთ მშვენიერ, თუ უბედურ დღეს და... მაგრამ რახან ეგრე მოხდა, მე ხელს არ შეგიშლი არც შენა და არც ჩემს შვილს, რომელიც გარდუვალი არჩევანის შემთხვევაში შენთან უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ჩემს ხელში... მე კი დედა ვარ, დედა, და არც ისეთი ცუდი, როგორც შენა გგონივარ, ამიტომაც დავამტკიცებ ნამდვილ დედობას, ჩემეულ წილად კუთვნილ შვილის სიყვარულს გულში ჩავიმარხავ და მისეულითღა ვიცხოვრებ, ჩემს დედურ ეგოიზმს ვერ ვანაცვალებ შვილის ბედნიერებას, და შენს ბედნიერებასაც, რაც ჩემთვის, როგორც ფრანგი ქალისათვის, არანაკლებ ძვირფასია.

—არა, მარსელა, მე შენ აქ ვერ დაგტოვებ, ვერა, შენც უნდა წამოხვიდე! — ვუთხარი გულწრფელად და მყისვე გადავწყვიტე, რომ გათენებისთანავე საელჩოში მივიდოდი, შევეხვეწებოდი, ვთხოვდი, დავუჩოქებდი, რომ მისთვისაც დამხმარებოდნენ ვიზის მიღებაში.

ამ საუბრიდან მესამე დღეს შინ რომ მოვბრუნდი, მაგიდაზე მარსელას წერილი დამხვდა:

„ზურიკო! მე თქვენი გაცილება გამიჭირდება, ვერ წარმომიდგენია, ვერც წარმოვიდგენ. საქართველოში ჩემი წამოსვლა ზედმეტია. მართალია, შენ ფაქტიურად უცოლშვილო ხარ, მე შენი მჯერა, მაგრამ მე იქ ფეხს ვერ მოვიკიდებ, სულ სხვაა ბავშვად რომ ჩავსულიყავი, დღეს კი მხოლოდ თქვენი მაჯლაჯუნა და სულთამხუთავი ვიქნებოდი. ამიტომაც ნურავის შეაწუხებ, მე ჩემს გზას მოვნახავ, თვითმფრინავის ბილეთი აღებული მაქვს და როცა შენ ამ ბარათს მიიღებ, მე არგენტინაში აღარ ვიქნები. ესეა საჭირო. ძებნას, ვიცი, არ დამიწყებ, ნურც იფიქრებ. თუ ძალიან გამიჭირდება, შენი მისამართი ვიცი, მოგწერ და იქნება ერთხელ მაინც გესტუმროთ მამაშვილს, მხოლოდ გესტუმროთ, სხვა არაფერი. დამილოცნიხართ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

მარსელა.

P. S. გკოცნით, გკოცნით, დაუსრულებლად გკოცნით ორივეს... იცოდე მაშინაც კი გკოცნი, როცა შენ სხვას, თუნდაც შენს ცოლს, მოეფერები... გელას კი ჩიტი-გვრიტს ვუკოცნი, როგორც შენ იცი ხოლმე, დამილოცნიხართ! ჰო, კინაღამ დამავიწყდა! ორი თვეა, რაც ერთი ამერიკელი ბიზნესმენი მიტრიალებდა, ძალიან მოვწონდი. ახლოს არ ვიკარებდი, მაგრამ გუშინ შევუთანხმდი და მასთან ერთად მივდივარ, ისე რომ... დაე, ამ ღალატმა გაგიადვილოს ჩვენი განშორებით გამოწვეული მწუხარება, რომელიც მე მწამს. (ის ამერიკელი ღორს უფრო ჰგავს, ვიდრე კაცს). თქვენი მარსელა".

ბიჭები აეროპორტში გაცვივდნენ, მე კი ბავშვი მოხუც ქალს დავუტოვე და გავიქეცი ჯოსთან.

— მარსელა სად არის? — მომახალა შეწუხებულმა.

— მეც მაგის საკითხავად მოვედი.

— დღეს არ მოსულა.

— ყვავილებს თუ უგზავნიდა ვინმე ამ უკანასკნელ დროს.— ჯომ ეჭვნეულად გადმომხედა. — ან სხვა ყურადღებას რამეს თუ ამჟღავნებდა მის მიმართ ვინმე?

— მარსელას ყოველთვის უტრიალებდნენ თაყვანისმცემლები... — სიტყვა ბანზე შემიგდო ჯომ.

— ყოველთვის კი არა, ამ უკანასკნელ დროზე გეკითხები, ამერიკელი რომ იყო...

— ოჰ, სერ! ის დიდი ხანია ეძალება, მაგრამ მარსელა სათოფედაც არავის იკარებდა, ღმერთს გეფიცებით, სერ! თქვენ ცუდათ გიცვნიათ მარსელა, მას თქვენს გარდა არავინ უყვარდა, ღმერთს გეფიცებით!

— როგორი შესახედი იყო ის ამერიკელი?

— ნამდვილი ღორი იყო...

გულზე ლოდი მომწყდაო თითქოს — მეამა, რომ მარსელას როგორც ყოველთვის, წერილშიც არ ეთქვა ტყუილი — ულირსში გავეცვალე ნაუცბათევად. ის წუთიერი შეღავათი, მეორე წუთს გაათკეცებულ ტკივილად მომეძალა იმის შეგნებით, რომ დავკარგე ლამაზი ქალი, რომელსაც ვუყვარდი, არ მოვეტყუებინე არასდროს და რომლისაგანაც უთუოდ კარგი დედა, მეუღლე და მეგობარი შეიძლებოდა დამდგარიყო...

• • •

...გემი რიგის ნავსადგურს მიადგა, გაბმით შეჰბღავლა და ღუზა ჩაუშვა. გელა ხელში ავიყვანე. მერე ისევ დავსვი. ცხვრის ქურქს გადავხედე და გარკვევით გავიგონე ბეჟანის ნათქვამი სიტყვები, ათასჯერ რომ გავიაზრე გზაში: „ბიჭო, ყოველ შემთხვევისათვის მზად უნდა იყო, იმ დამპლებს უკვე დაუწერიათ, ფლორიდის ბაღში ლაყბობდნენ. ვინ იცის, რა მოჩმახეს, ხელი და სული სიზილწეში გაწაფული აქვთ. ქურქი მომარჯვებული გქონდეს. ორ-ორი ხელი თბილი საცვალი, წინდები, ხელთათმანები, სვიტრები და ბეწვის ჩექმები ამ პატარა ჩემოდანშია. თუ საქართველოს მაგივრად ციმბირში გიკრეს თავი, ე ბიჭი თან არ წაიყვანო, არც საპრიუტოდ გაიმეტო, ე ბარგი-ბარხანა რაც მიგაქვს, აჩუქე ვინმეს და სთხოვე, რომ დედაშენს ჩაუყვანონ. რუსი ვინმე გამონახე, ქალი იყოს, ხანშიშესული, პატიოსნები არიან, თხოვნას შეგისრულებენ, ჩვენც იქნებ ხმა მოგვაწვდინო როგორმე"...

ისევ გელას დავტაცე ხელი და დავკოცნე, თან ყელში ბოღმა მომადგა — „რათ დავაობლე ეს ბიჭი, დედა ცალკე დავუკარგე, ეხლა მამაც რომ დაჰკარგოს, რა უნდა ეშველოს".

კარზე მოაკაკუნეს. ჩემმა თანამგზავრმა ივან ივანიჩმა, ლონდონის მივლინებიდან რომ ბრუნდებოდა შინ და ამ ხნის განმავლობაში ლამის დაგვიმეგობრდა მე და გელას, ომახიანად გააღო კარი. ფორმიანები შემოვიდნენ. ოფლმა დამასხა.

— სამშობლოში კეთილად დაბრუნებას გილოცავთ! — მოგვესალმა უფროსი რუსულად, მერე გელას გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. — რა ვაჟკაცია!

პასპორტები ყურადღებით გასინჯა. ჯერ ქურქს გადავხედე, მერე ჩემოდანს, გელა მივიკარი და ვაკოცე.

— რაო, უდედოდ მოდიხარ?

— არა ჰყავს.

— კარგი ბიჭია, აბა ნახვამდის, ვაჟკაც! — კვლავ ჩამოართვა ხელი ბიჭს, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, — ყოველივე რიგზეა, კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად ბრძანდებოდეთ. — მიუგო ივან ივანიჩმა.

ივან ივანიჩს მანქანა დაახვედრეს, დამელოდა და ბარგიბარხანიანად მიმიყვანა რიგის სადგურზე, ბილეთიც თვითონ ამიღო, რასაკვირველია, ჩემი ფულით, გემზევე რომ გადავახურდავე. მერე კუპეშიც შეგვაცილა, გელა გადაჰკოცნა.

— აბა, შენ იცი. ყველაფერი კარგად იქნება. სამშობლო სამშობლოა, მასზე ძვირფასი არაფერია. მოიწერე. აი, ჩემი მისამართი. ლენინგრადში თუ იქნები, აუცილებლად მინახულე...

. . . .

მოსკოვს ჩასული რამდენიმე წუთში აღმოვჩნდი კურსკის სადგურზე, აქ კი ნამდვილად საქართველოში ვიგრძენი თავი — სადგურის მისადგომებიდანვე წამდაუწუმ მესმოდა ქართული: „ბიჭო, ჩემოდნებს მიხედე, ნუ დაგაწყდა თვალები ამ გოგროების ყურებით", „ქალო, ეს რა ბილეთები აგიღია, ჰაა?", „წეიღეთ, წეიღეთ, თვარა შინ ვეღარ იშოვიდით", „ჯო, გეიხედე იქეთ, მანქანა არ გიტაკოს", „ქვე, შენი ჭირიმე, მე რო რაჭაში ვიჯდე აქანა ქართული პური ვიღამ დააკრას".

გული დამითბა, ხელში აყვანილი გელა ძირს დავსვი...

— გელა, საჭმელი ხომ არ გინდა? — შევეკითხე ფრანგულად, რაკი ქართული არ იცოდა.

— არა!

— ფისი?

— კი.

იქვე კუთხეში გადავაყენე.

ბილეთების კომპოსტირება მებარგულმა ითავა, მანვე დამაბინავა ვაგონში, რომელიც ნელ-ნელა ივსებოდა. უმეტესობა ქართველები იყვნენ. ჩემს გვერდით, ზედათაროსეულ მეზობლად აღმოჩნდა სოხუმელი ახალგაზრდა ჭაბუკი არშბა, პირდაპირ კი ხანდაზმული ცოლ-ქმარი გიგილიები ისხდნენ. გელა შინ, არგენტინაში, უკარება ბავშვი იყო, აქ კი ისე წათამამდა, რომ ადგილზე ვეღარ ვაჩერებდი, ყველას ერთად გაუშინაურდა.

— ქართული რატომ არ იცის? — შემეკითხა გიგილიას მეუღლე, ქალბატონი თამარი.

— შე დალოცვილო, აცალე ადამიანს სულის მოთქმა, ჩაიყვანს სახლში და ორ დღეში ასწავლის, — მადლიანად შეუბრუნა სიტყვა მეუღლემ, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ცოლქმრული სითბოს დარღვევა წესად არ ჰქონდა.

— დედა ფრანგი ჰყავდა და მეც არ მინდოდა, რომ თავიდანვე ორი ენა არეოდა.

— მოუკვდა მაგას ჩემი თავი, — მოიცრემლა ქალი.

— ჯვარი სწერია, სიკვდილი რა სახსენებელია, შე დალოცვილო.

ქალმა მაინც ვერ მოისვენა, ამბავი გამომკითხა. არ დამიმალავს, ვუთხარი. დაიბოღმა ცოლ-ქმარი, სოხუმელმა წიგნის კითხვას თავი ანება.

... ფანჯარაში გავიხედე, სადგურს „ორიოლი" ეწერა, ბაქანზე ქალს მოვკარი თვალი და ელდა მეცა — მარსელას ორეული იყო. „დავღუპე, გავაუბედურე, სულმა წამძლია. გამოვიქეცი იმისათვის, რომ საკუთარი ბედნიერება მეპოვა, რომ გელა ქართველებში მენახა, როგორც დღეს... ეფერებიან, ჰკოცნიან. ჰკოცნიან ქალები, რომლებმაც პირველად ნახეს და რომლებთანაც მარტოოდენ ეროვნება აკავშირებს. მარსელა კი... ვინ იცის, სად არის, ან ვისთან იკლავდა გულში დაგუბებულ ბოღმას დედისას, ბოღმას ცოლისას, ადამიანური მოთავისობით მოძალებულ ბოღმას"

— არგენტინიდან თქვენ მოდიხართ? — ჩამესმა ხმა. ავიხედე, შუა ხნისა და საშუალო სიმაღლის ქერა კაცი დამდგომოდა თავს.

— დიახ.

— გვერდით ვაგონში გთხოვენ.

— ეხლავე. — ამიტყდა ფორიაქი. „ახია ჩემზე, აკი ღმერთი არ არისო, მაშ ვინ მიხდის სამაგიეროს. თანაც სწორედ მაშინ, როცა მასზე ვფიქრობდი, ახია, ახია". თავდაპირველად ქურქს ვეცი. მერე პატარა ჩემოდანს დავავლე ხელი, — გელა, მოდი, შვილო.

ბიჭი მაშინვე დაუსხლტა ვიღაც ქალს და ჩემთან გაჩნდა.

— ეგ ჩემოდანი და ქურქი რად გინდათ? — შემეკითხა მოპატიჟე.

— ისე...

— რა საჭიროა, აქ არაფერი დაგეკარგებათ.

ქალბატონმა თამარმა გაკვირვებით გახედა ქმარს — ნუთუ აქამდე ვერ მიხვდა ეს კაცი, რომ ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართო. მე კი ქურქი და ჩემოდანი ცალ ხელში მოვაქციე, გელა მარჯვენაში ავიყვანე და მოსულს ხმისამოუღებლად გავყევი. „რა დაწერეს, რა მომიგონეს, ვიცოდე მაინც".

რამდენიმე ვაგონი გავიარეთ და რომელიღაც განსაკუთრებით მოვლილ ვაგონში შევედით. ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს ვამჩნევდი, ერთი ფიქრი არ მასვენებდა — რატომ იმ ცოლ-ქმარს არ გავანდე-მეთქი ჩემი ხვაშიადი. კაცმა რომელიღაც ფართე კუპის კარი გააღო და შიგ შემიშვა. ორნი ისხდნენ.

— დაბრძანდით. — მითხრა დეპუტატის ნიშნით მკერდდამშვენებულმა, რომელსაც ორივე ხელი პატარა მაგიდაზე დაეწყო. იმ ხელებს დავხედე. გამხდარი ხელები იყო, დანაოჭებული. გამხდარი, დანაოჭებული, მაგრამ სათუთი... ჩემი ამბავი მკითხა. მოვუყევი ანგარიშმიუცემლად, გულახდილად, მოკლედ, მაგრამ ყველაფერი ვუთხარი.

— აი, ბიჭი დავაობლე, ეს მიკლავს გულს.

— რატომ დააობლეთ. მისი სამშობლო ის კი არ არის, სადაც დაიბადა, არამედ ის არის, სადაც მამა-პაპას უცხოვრია, სადაც მისი ერი ცხოვრობს, ერი პურადი, გულადი და, რაც მთავარია, გამტანი.

მე მარსელას ამბავი მოვუყევი უფრო დაწვრილებით. ბარათის შინაარსი რომ ვაუწყე, თვალებში შევხედე. გვერდზე იხედებოდა, ფანჯარას გაჰყურებდა, თვალებზე კი... ცრემლი მოსდგომოდა, ასწითლებოდა, ეწვოდა. „თურმე როგორები ყოფილან... ნუთუ?!"

— სადარდებელი არაფერი გაქვთ, კარგი იყო, ბიჭს დედაც ჰყოლოდა, ქართველებს ბევრი ჰყავთ შემონამატი, ეროვნული ჩაკეტილობა ისტორიულად უცხოა ჩვენთვის. მაგრამ რახან მოხდა, უნდა გაუძლოთ. დედათქვენი, თქვენი ნათესავები უდედობას არ აგრძნობინებენ. — „უდედობას რომ უმამობაც ზედ ემატება!" — გავიფიქრე გუნებაში. — ცოტა ხანს დაისვენეთ, გარემოს შეეჩვიეთ, მერე რაც იყო-იყო, ყველაფერს ჯვარი გადაუსვით, — თან მარცხენა ხელისგული მარჯვენით დასერა, — და ხელახალი ცხოვრება დაიწყეთ. ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, რომ აქეთ-იქით დავიქსაქსნეთ, ჩვენი ხალხის უპირველესი ნიშანი ის არის, რომ სადაც უნდა იყვნენ, გული არსად უჩერდებათ, სამშობლოსაკენ მოუწევთ.

— ვაი, რომ ამ დაბრუნებით ჩემი ბედიც ავწეწო და ამ ბავშვისაც... — თან გატრუნული გელა უფრო მაგრა მივიკარი გულზე.

— სამშობლოში დაბრუნება ბედს კი არ აგიწეწავთ, განგამრთელებთ ისეთივე შვილი იქნებით თქვენი ქვეყნისა, როგორც ყველა, ისე რომ წარმატებას გისურვებთ თქვენცა და თქვენს ბიჭუნასაც, — ღიმილით მომიჭრა კეთილმა თანამოსაუბრემ, მერე ჩემს მომყვანს მიუბრუნდა. — მიეცით თქვენი ტელეფონი, თუ გაგიჭირდეთ რამე, ამ ამხანაგს დაურეკეთ და დაგეხმარებათ. ახლა კი ბიჭუნა წაიყვანეთ და დააძინეთ, თორემ თვალები ელულება...

• • •

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ათი წელიწადი! ვცხოვრობ ჩემს ოჯახში, საკორინთლოში, ნათესავებში, მამისეულ სახლში, დედასთან ერთად...

ბეჟანი და მიხაკო? წერილებს მწერენ, საშველი კი ვერ დაადგათ.

მარსელა? მარსელა არ გაჰყოლია იმ ამერიკელს. ჯოს ოჯახში დამალულიყო და ჩვენს წამოსვლამდე დღე და ღამ ტირილში ატარებდა თურმე. მერე ჯოს გამოაგზავნინა წერილი, რომელშიც კეთილი ზანგი იტყობინებოდა, რომ მარსელა გარდაიცვალაო, მეორედ მომატყუა ცხონებულმა. მარსელა? ჩამოვიდა რვა წლის წინათ, ჩვენი წამოსვლის შემდეგ თავის ცივილიზებულ სამყაროში ორი წელიწადი ძლივს გასძლო უჩვენოდ... ჩამოვიდა, ერთი კარგი ბიჭიც მაჩუქა და ისეთ ქართველებს მიზრდის თავისი გაქართველებული გულით და სულით, რომ ბევრს შეშურდება...

...საიდან სადაო?!

ჩვენი სახელოვანი წინაპარი

1929 წელს პარიზში დაარსდა საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ მეცნიერებათა ისტორიის საერთაშორისო აკადემია და მისგან დამოუკიდებლად ამავე სახელწოდების საერთაშორისო კავშირი. ჩვენი ქვეყანა ამ ორგანიზაციებში 1956 წელს გაერთიანდა, თუმცა 1943-1944 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ბუნებისმეტყველების ისტორიისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტები. შემდეგ წლებში ეს ორი ინსტიტუტი გაერთიანდა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტად.

1956 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის საბჭოთა ისტორიკოსების ეროვნული კომიტეტი, ხოლო საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში შეიქმნა ზუსტი მეცნიერების ისტორიის ამსახველი მუზეუმები: პოლიტექნიკური მუზეუმი, ავიაციის მუზეუმი, ლომონოსოვის მუზეუმი და სხვა.

საქართველოში 1964 წელს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის განყოფილება, რომელსაც მართავს საბჭო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის რაფიელ დვალის თავმჯდომარეობით.

მეცნიერების ისტორიამ უნდა აგვიხსნას, რით განსხვავდება ახალი თეორია მის წინა თეორიისაგან, რა არის ახალი თეორიის უპირატესობა, უნდა დაასახელოს ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ამა თუ იმ მეცნიერების მეთოდების, ამოცანებისა და თეორიების ცვლილება ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლისას, უნდა ახსნას მეცნიერების ამა თუ იმ დარგში წარმოშობილი კრიზისების მიზეზები, გააანალიზოს ისინი და დასახოს წინააღმდეგობათა გადალახვის ღონისძიებანი. მეცნიერების ისტორიკოსი წარსულის მკვლევარიც არის, მაგრამ წარსულის შესწავლა ემსახურება აწმყოს გაგებას და მომავლის განჭვრეტასაც. მეცნიერების განვითარების წინა საფეხურების ნაკვალევზე დაკვირვებით შეგვიძლია ვივარაუდოთ და დავსახოთ პერსპექტივები. მეცნიერების ამ ერთიან ციკლში ერთ-ერთი ძირითადი რგოლი არის წარსულის შესწავლა. დღეისათვის ცნობილი მრავალი თეორია სწორედ წარსულის კვლევა-ძიების შედეგად იყო აღმოჩენილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭომ თავისი არსებობის რვა წლის მანძილზე სასარგებლო მუშაობა გასწია. ბევრია გაკეთებული იმისათვის, რომ საქართველოს მეცნიერთა თანამედროვე მიღწევების გვერდით ჩვენი წინაპრების მეცნიერული მემკვიდრეობა ცნობილი გამხდარიყო მსოფლიოს ხალხებისათვის. მეცნიერების ისტორიამ შეისწავლა ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნოსელის (IV საუკუნე), იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის (XI-XII საუკუნეები), ანთიმოზ ივერიელისა და ანტონ ბაგრატიონის (XVIII საუკუნე), ძმების დავით და იოანე ბაგრატიონების (XVIII-XIX საუკუნეები), პეტრე ბაგრატიონის (XIX საუკუნე) შრომები. პარალელურად შეისწავლეთ ზუსტი მეცნიერების განვითარება XX საუკუნის საქართველოში.

საბჭომ თავისი მუშაობა მარტო ქართველ მეცნიერთა შესწავლით როდი განსაზღვრა. საფუძვლიანად შევისწავლეთ აგრეთვე მიხეილ ლომონოსოვის, ალექსანდრე სტოლეტოვის, პეტრე ლებედევის, ნიკოლოზ უმოვის, კონსტანტინე ციოლკოვსკის, ნიკოლოზ ჟუკოვსკის, სერგი ვავილოვის, იგორ კურჩატოვის, დიმიტრი სკობელცინის, ლევ ლანდაუს, იოჰან კეპლერის, ერნერსტ რეზერფორდის, ვილჰელმ რენტგენის, მაქს პლანკის, ნილს ბორის, ეჟენი კოტონის, პიერ კიურის, მარია კიური-სკლოდოვსკაიასა და სხვა რუს და ევროპელ მეცნიერთა შრომები.

ცოტა ხნის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭომ, საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამართეს ქართველი მეცნიერისა და გამომგონებლის იაგორ ჭელიძის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-საიუბილეო სესია.

იაგორ ჭელიძე ავტორია უაღრესად დიდი აღმოჩენისა — პორტლანდცემენტის შექმნისა. შემკვრელი ნივთიერების ისტორიის ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი იგორ ზნაჩკო-იავორსკი იაგორ ჭელიძისადმი მიძღვნილ ფართო გამოკვლევაში წერს: „შემკვრელ ნივთიერებათა ისტორიაში ახალი ეტაპის შექმნას აქამდე მიაწერდნენ ინგლისელ კალატოზს ჯოზეფ ასპინდს. მაგრამ ჩვენი საარქივო ძიებანი და ექსპერიმენტული გამოკვლევები უფლებას გვაძლევს ცნობილ ასპინდთან ერთად მოვიხსენიოთ იაგორ გერასიმეს-ძე ჭელიძის (ჩელიევის) სახელიც“ (იხ. «Очерки истории вяжущих веществ от древнейших времён до середины XIX века», М.-Л. 1963, გვ. 17, 19, 21). არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ის დიდი ამაგი, რომელიც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა მეცნიერებმა დასდეს იაგორ ჭელიძის მკვდრეთით აღდგენას. ესენი არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი, აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე და პროფესორი პეტრე ჭულუკიძე.

იაგორ ჭელიძე დაიბადა 200 წლის წინათ, 1771 წლის 19 მაისს ქართველ ჰუსართა ლეგიონის გადამდგარი სეკუნდმაიორის გერასიმე ჭელიძის ოჯახში, სარატოვის გუბერნიაში. უკვე 16 წლისამ სამსახური დაიწყო. 1800 წლიდან საცხოვრებლად მოსკოვში გადადის, სადაც 1817 წლამდე მუშაობს გენერალური I კლასის მიწისმზომავად. 1817-დან 1821 წლამდე მოსკოვის გაშენების კომისიაშია, რომელიც 1813 წელს ჩამოყალიბდა ნაპოლეონის შემოსევის შედეგად დარბეული ძველი ქალაქის აღსადგენად. 1817-1821 წლებში მოსკოვის საპროექტო და საარქიტექტორო დაგეგმარების სახელოსნოს დირექტორია, შემდეგ სამხედრო მუშათა ბრიგადის სახელოსნოების ჯგუფის უფროსი.


იაგორ ჭელიძის პირად საქმეში ვკითხულობთ: „იცის არითმეტიკა, გეომეტრია, არტილერია, ფორტიფიკაცია, გამოყენებითი ფიზიკა, ქიმია, მექანიკა, მხატვრობა, ქანდაკება, სამოქალაქო არქიტექტურა... უცხოური ენები არ იცის. ნიჭიერი და ჭკვიანია“.

ქართველი მეცნიერი-გამომგონებლის კალამს ეკუთვნის გამოქვეყნებული შრომები ცემენტის შექმნასა და გამოყენებაზე, მოსკოვის ისტორიასა და დაგეგმარებაზე, ახალი და იაფი მასალის შესახებ, რომელიც წყალსადენის მილებში გამოიყენება და ა. შ.

1829 წელს იაგორ ჭელიძე სამუშაოდან გადადგა. სიცოცხლის 29 წელიწადი მან მოსკოვის მშენებლობას შესწირა. იგი მრავალი ორდენითა და მედლით იყო დაჯილდოებული. გარდაიცვალა 68 წლის ასაკში.

ამ საჩინო ქართველი მეცნიერ-გამომგონებლის დაბადების 200 წლისთავზე ჩვენმა მეცნიერებმა, მშრომელებმა, სტუდენტებმა სპეციალურ სამეცნიერო-საიუბილეო სესიაზე დავიწყების ბურუსი ჩამოაშორეს იაგორ ჭელიძის სახელს.

ვახტანგ პარკაძე,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.


ПОЛНОЕ
НАСТАВЛЕНІЕ,
Какъ приготовлять дешевый и лучшій Мерисель или Цементъ, весьма прочный для подводныхъ строеній, какъ-то: каналовъ, мостовъ, бассейновъ, плотинъ, подваловъ, погребовъ, и штукатурки каменныхъ и деревянныхъ строеній.
1780
Въ вольной Типографіи Пономарева.
1845.

იაგორ ჭელიძის წიგნის სატიტულო გვერდი.

„მეშვიდე ცა“ რუსულად

გამომცემლობა „მოლოდია გვარდიამ“ ასიათასიანი ტირაჟით გამოუშვა მწერალ გურამ ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ცა“. წიგნი რუსულად თარგმნეს ელენე ჩაიკამ და ნიკოლოზ მიქავამ. რომანი მთლიანად დაბეჭდა აგრეთვე ჟურნალმა „დრუჟბა ნაროდოვმა“ 1971 წლის პირველ ნომერში.

წიგნს ახლავს მწერალ-აკადემიკოსის დემნა შენგელაიას წერილი „სიხარული აღმოჩენისა“. მასში ნათქვამია: **„გურამ ფანჯიკიძე ეკუთვნის იმ ახალგაზრდა ქართველი მწერლების რიცხვს, რომელთაც სწრაფად მოიპოვეს მკითხველთა აღიარება და ლიტერატურული საზოგადოებრიობის გულისყური მიიპყრეს. მის თვითმყოფად, საგულისხმო მოთხრობებს მოჰყვა რომანი „მეშვიდე ცა“.**

წერილის დასასრულ დემნა შენგელაია იმედს გამოთქვამს, რომ რუსი მკითხველიც კმაყოფილებით წაიკითხავს რომანს „მეშვიდე ცას“ და გაიხარებს ნიჭიერი ქართველი მწერლის, ჩვენი ლიტერატურის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის წარმატებით.

ბერიკაცის სიხარული

ბერიკაცი ეზოში გაშლილ ვებერთელა მუხის ფესვზე იჯდა და მუხლებში მომწყვდეულ კალთას გვერდებს უსინჯავდა. ჩვენს დანახვაზე მკვირცხლად წამოდგა, ჯერ კიდევ ღონიერი დაძარღვული მარჯვენა გამოგვიწოდა და შინ შეგვიპატიჟა.

საუბარი ადვილად აეწყო. ბერიკაცი ჩვენს ცნობისმოყვარეობას გულმოდგინედ აკმაყოფილებს. დაკოჭრილ ხელებს ხან იქით იშვერს, ხან აქეთ. თან ელიმება. სახეზე სიამაყე ეტყობა და ამბობს, ეს არის ჩვენი სოფელიო.

ჩოჭოლი ქვაჩახია 73-ე აღმართს შესდგომია. ცხოვრებაში ბევრი სდუხჭირე უნახავს. ბევრჯერ ჩაუმუხლავს ლუკმაპურის საშოვნელად. მერე დროით მოუსწრო ამ ცხოვრებამ. საკოლმეურნეო წყობამ, საზოგადოებრივმა შრომამ წელში გაამართა უბრალო ადამიანი, დარიბი გლეხის შვილი.

ოქუმში პირველი კოლმეურნეობა 1929 წელს ჩამოყალიბდა. თავმჯდომარედ გიორგი ჯგუბურია აირჩიეს. მაშინ საბრიგადირო კაცი სანთლით იყო საძებარი, არჩევანი ჩოჭოლი ქვაჩახიაზე შეაჩერეს.

პირტიტველა ჭაბუკის ბრიგადას წელიწადში 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. მაშინ სხვა დრო იყო. მოკრეფილი ჩაი 30 კილომეტრის მანძილზე ურმით მიჰქონდათ. მოწინავედ ითვლებოდა კოლმეურნე, რომელიც დღეში 10 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფდა.

ძალზე დიდი ჯაფა გადაიტანეს ოქუმელებმა, სანამ კოლმეურნეობა ეკონომიურად მოღონიერდებოდა. შრომაში დაილია წლები. ოქუმელებმა იგემეს თავიანთი შრომის ნაყოფი, იგრძნეს ლაღი ცხოვრების სიკეთე. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მიღიონ მანეთს გადააჭარბა, 1939-40 წლებში კი არტელი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლით დაჯილდოდეს.

შრომობდა ოქუმელი გლეხი ჩოჭოლი ქვაჩახია — მაშინ, როცა ქვეყნად მშვიდობა იყო...

...მაშინაც,—როცა დიდმა სამამულო ომმა დაარღვია მყუდროება და სოფლის ახალგაზრდობამ ფარჯები ჩაიცვა, სამშობლოს სადარაჯოზე დადგა.

ჩოჭოლი გაათკეცებული ენერგიით მიეძალა საქმეს.

დამთავრდა ომი. კიდევ უფრო მეტი შრომა მართებდათ ოქუმელებს. ომის დროს მიყენებული ჭრილობები დროზე უნდა მოეშუშებინა სამშობლოს. ქვეყანას უხვად სჭირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ჩოჭოლის ბრიგადაც წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. ყოველწლიურად ზრდიდნენ ჩაისა და სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობას. თვითონ ბრიგადირმა ჰექტარიდან 105 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

დაუფასდა შრომა. 1946 წელს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ჩოჭოლი ქვაჩახიას სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ცოტა ხნის შემდეგ კი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბარაქიანი მოსავლისათვის უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიულოცეს.

ჩოჭოლის სახელი საქვეყნოდ გახდა ცნობილი. პრესაში ხშირად იწერებოდა მის გამოცდილებებზე.

წლებს თავისი გააქვს, მაგრამ ბერიკაცს გული მაინც უბერებელი შერჩა. უხარია, რომ დღეს ოქუმი შეძლებული სოფელია. ყველა ოჯახშია რადიო, ტელევიზორი, ბევრის ეზოში საკუთარი ავტომანქანა დგას. სოფელში ყოველწლიურად 1400 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი იკრიფება, სოფლის მშვენებაა ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა...


— აი, ეს არის ჩვენი სოფელი, — დაასრულა საუბარი ამაგდარმა ადამიანმა. როცა ამ სიტყვებს ამბობდა, კეთილ ღიმილს ვერ ფარავდა, გული სიხარულით ევსებოდა.

დომენტი ჩაკაბერია



პირველი მერცხალი

სიხარული გაზაფხულისა, სითბოსი და სიყვარულისა, ავსებს ადამიანთა გულებს და ახალისებს მათ შრომასა და დასვენებაში. ახალგაზრდა მხატვარმა დემურ ბაშელეიშვილმა შექმნა საგაზაფხულო ნახატების ციკლი გაზეთ „სამშობლოსათვის“, რომელთაგან ერთ-ერთს — „პირველი მერცხალი“ დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.



სპორტის ვარსკვლავები

არსენა

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან. 12 აპრილს 60 წლისა შეასრულდებოდა, ძალა კი ერჩოდა, გულიც, მაგრამ...

მეგობრებმა მთხოვეს: გამოსათხოვარი უნდა დაწერო, დიდი ფალავნის თანამემამულე ხარ, მისეული მიწისა შენ უფრო გაგეგებაო...

არსენა მეკოშვილს ვიცნობდი, მის ოჯახში ვყოფილვარ, ნარკვევიც დამიწერია ამ ბეჭდაუდებელ ფალავანზე, მაგრამ ერთი რამ არასდროს მითქვამს:

— გიშერაანთ ბიჭო, გამარჯობა შენი, ძაან გამახარე შენი სტუმრობით. დედაკაცი შინ არა მყავს, მაგრამ არა უჭირს რა, ჩვენებურად, კაცურად მოვუსხინოთ...

არსენას ვაჟი დისერტაციას იცავდა, რძალი ინსტიტუტს ამთავრებდა. პაპამ და ბებიამ იფიქრეს, პატარა არსენა მშობლებს უყურადღებოდ დარჩებოდათო და ოჯახის დიასახლისი ერთი კვირის წინათ მოსკოვში გაფრენილიყო.

მარტო იყო შინ. იმ დღეებში 58 წელი შეუსრულდა. აპრილი იდგა და ვენახში ტრიალებდა, თუ სტუმარი ეწვეოდა, არც იმას დაიკლებდა პატივს.

სუფრა ორივემ ერთად გავშალეთ. ბევრი არ დაგვილევია, მაგრამ სტუმარ-მასპინძელი ერთიმეორის პატივისცემაში ვიყავით.

...მაშინ ჯერაც პირტიტველა ყმაწვილი ყოფილა, გიორგიწმინდაში მეზობელი სოფლების ფალავნები ჩამოდიოდნენ, ღონე ერჩოდათ და სახელს ეძებდნენ.

თანასოფლელთა იმედი არსენა მეკოშვილი ყოფილა, — მიდი, არსენ! — უყეინით ამხნევებდნენ თურმე და არსენაც მიდიოდა ჯიქურად, შეუპოვრად, გიორგიწმინდელები კი ითვლიდნენ ლამში ამოტრიალებულ ფალავნებს.

— ფალავნად მიხაკო ჭურხულმა მაკურთხა. მისი გაზრდილი ვარ, — მეუბნება მასპინძელი. — ერთხელ საგარეჯოში სანდრო კანდელაკი და კულა გლდანელი ჩამოვიდნენ. სანდროს მცხეთელი და კახელი ფალავნები ჩამოიყვანა. მიხაკომ გარეჯელები დაახვედრა. სანდრო და მიხაკო დიდი მეგობრები იყვნენ. მახსოვს მათი ჭიდაობა ხატიკაკლებთან. დევის ძალა ჰქონდა კანდელაკს, ზღაპრული ღონე, მაგრამ ცხონებული მიხაკო დიდებული მოჭიდავე იყო. ვერც ერთმა ვერ წააქცია. მაყურებლებმა გააშველეს გალომებული ვაჟკაცები, არაფერი იტკინონო. პირზე კოცნით გამოვიდნენ წრიდან ფალავნები, მერე ახალბედების ჯერიც დადგა...

არსენას არ შეურცხვენია თავისი გამზრდელი. ზედიზედ დაუცია კახელი და მცხეთელი ფალავნები, შოთებივით გაუკრავს მიწაზე. ფალავნად მის კურთხევას სანდრო კანდელაკმა და კულა გლდანელმა მისცეს დასტური.

გოლიათის ძალ-ღონე ჰქონდა. მგლის მუხლი, ჭორის თვალები, ირმის ხალისი და ყველა, ვისაც ესმოდა ნამდვილი ვაჟკაცური ჭიდაობის ფასი, მასი გულშემატკივარი იყო საგარეჯოშიც და შემდეგაც, როცა დიდ სარბიელზე გავიდა.

1934 წელს არსენა საქართველოს ჩემპიონი გახდა. ფალავნებით განთქმულ ქვეყანაში პირველი მოჭიდავის სახელი დაიმკვიდრა მძიმე წონაში. მას შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება და 28 წლისა იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც რომ გახდა.

ჭიდაობდა კლასიკური და თავისუფალი სტილით, ჭიდაობდა სამბოს და ყოველთვის იმარჯვებდა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა თვრამეტგზის მოიპოვა.

1952 წელი. ჰელსინკის ოლიმპიური ასპარეზობა. უნგრეთის ჩემპიონი კოვაჩი 6 წუთში გააკრა ხალიჩას, დაამარცხა დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი რიჩმონდი, იტალიის ჩემპიონი ვეკი.

ფინალში შეხვდნენ „ჩრდილოეთის გიგანტი“ შვედი ანტონსონი და „სამხრეთის ვეფხვი“ არსენა მეკოშვილი. ქართველმა ფალავანმა სძლია გიგანტს და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი გახდა.

1953 წელი. ოლიმპიური ჩემპიონი ბუქარესტში მიიწვიეს მსოფლიო ფესტივალზე. აქაც საუკეთესო იყო და ოქროს მედალი მოიპოვა. იმავე წელიწადს საერთაშორისო შეხვედრაში კვლავ დაამარცხა ანტონსონი — ამჯერად მისსავე სამშობლოში.

1954 წელი. ტოკიოში შეიკრიბნენ ხმელეთის უძლიერესი მოჭიდავეები. ამომავალი მზის ქვეყანაში არსენა მსოფლიო ჩემპიონის კვარცხლბეკზე ავიდა.

1956 წელი. საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა. თმაშეუვერცხლილი არსენა 45 წლისაა, მაგრამ ისევ ტოლუპოვარია. ქართველმა გოლიათმა ყველა მეტოქე დაჯაბნა. უთვალავ ტიტულს სპარტაკიადის ჩემპიონის სახელიც მიუმატა.

— ის იყო, გამოვეთხოვე ჩემ საყვარელ ჭიდაობას, — ეხლაც ჩამესმის მასპინძლის ხმა, — შევევლიე ჭიდაობას და ჩემს გიორგიწმინდაში ჩამოველ. მამა-პაპის სახლს მოვუარე, ვენახი გავახარე, სახლის კარი გავაღე...

რაიონში დიდ პატივსა სცემდნენ ადამიანს, რომელმაც ესოდენ ასახელა მშობლიური კუთხე და სამშობლო.

გასულ შემოდგომას, როცა საგარეჯოში რჩეული და მანდატის მწვანე იკრიფებოდა, რაიონის თავკაცმა ოთარ საბაშვილმა მითხრა, რატომ მიჩუმდით ჟურნალისტები, არსენაზე რატომ აღარაფერს წერთო. ვიცოდი, რომ არსენა ამ გაზაფხულზე სამოცი წლისა შესრულდებოდა, ფიქრში მქონდა ნარკვევი დამეწერა და აი...

ალბა დააკვირდი, ძვირფასო მკითხველო: ჩვენში თუ უცხოეთში, მცირე თუ დიდი მასშტაბების ფალავანთა ასპარეზობისას გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ქართველები ადიან და ისინი ხშირად გარეჯელები არიან.

ჭიდაობა მათთვის სისხლხორცეულია, მამა-პაპათაგან გადმოსული და მარადიული. არსენას ჰბაძავენ, არსენას თვლიან თავიანთ გამზრდელად და ეს არის ბეჭდაუდებელი ფალავნის მეორე, უკვე მარადიული სიცოცხლე.

ამ სიცოცხლითაც ნათელ იყავ, არსენ!

ჯემალ ჟურხული

სპორტული ქრონიკა

ლიუბლიანა — თბილისი

● იუგოსლავიისა და ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებს დიდიხნის მეგობრობა აკავშირებთ. შარშან სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანას ქართველი ხელბურთელები ესტუმრნენ, ამ დღეებში კი იუგოსლაველები საპასუხო ვიზიტით თბილისში ჩამოვიდნენ.

მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა. გუნდები ნაკლებად ფიქრობდნენ დაცვაზე და გაცილებით კარგად თამაშობდნენ თავდასხმაში, ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ერთ შეხვედრაში გუნდებმა კარი 55-ჯერ აიღეს. ანგარიშით 30:25 გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვეს.

წინ გადაწყვეტი შეხვედრებია

● ჩვენი ქვეყნის პირველობა კალათბურთში გადამწყვეტ ფაზაში შედის. მეორე წრის ფინიშთან თბილისის „დინამო“ 8 ქულით მივიდა და მესამე საპრიზო ადგილის მოპოვების შანსებს ინარჩუნებს. რაც შეეხება რესპუბლიკის მეორე გუნდს — თბილისის „ბურევესტნიკს“, მისი მდგომარეობა მეტად არახელსაყრელია. სტუდენტი კალათბურთელები ხუთი ქულით ბოლოსწინა, მე-9 ადგილზე არიან.

ოლიმპიური ჩემპიონის საჯელოგისა

● თბილისში წელს მესამედ გაიმართა სიმაღლეზე მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რომპერტ შპალაყაძის სახელობის პრიზზე.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სახელოვანი სპორტსმენის პრიზის პირველი გათამაშება 1970 წლის 24 მარტს მოეწყო. მაშინ ჯილდო წილად ხვდა მინსკელ ალექსანდრე კასკოვს, რომელმაც 2 მეტრი და 11 სანტიმეტრი სიმაღლე დასძლია.

შარშან 20 მარტს ჩატარდა პრიზის მეორე გათამაშება, რომელშიც საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და რუმინეთის 17 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამჯერად უძლიერესი იყო ბერდიჩეველი რასულ ახმეტოვი, რომელიც 2 მეტრსა და 17 სანტიმეტრზე გადებულ თასმას გადაევლო.

და აი, 18 მარტს თბილისის სპორტის სასახლემ ფართოდ გაუღო კარი ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის უძლიერეს სიმაღლეზე მხტომელებს.

პირველად სასახარეზოდ გამოვიდნენ ქალები. სპორტის სასახლის ახალი რეკორდით (180 სანტიმეტრი) მთავარი პრიზი მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა ალექსანდრა პროსკოვამ, ვაჟთა შორის ბრწყინვალედ იასპარეზა ლენინგრადელმა სპორტსმენმა იური ტარმაკმა, რომელიც გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა 2 მეტრი და 23 სანტიმეტრის შედეგით.

აბსოლუტური ჩემპიონი

● კიევში გამართულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში თავი ისახელა ახალგაზრდა ქართველმა ტანმოვარჯიშემ პაატა შამშიამ, მან პირად ასპარეზობაში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

მეორე ადგილზე

● ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გიგანტურ სლალომში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა იოსებ ნასყიდაშვილმა.

წინ მეოთხედფინალია

● თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როდესაც ქართველმა სპორტსმენებმა მერვედ ფინალში ყარაღანდის „შახტიორს“ სძლიეს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 12 მარტს გაიმართა. მატჩი, რომელსაც დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა, საინტერესო გამოდგა. აშკარა იყო დინამოელთა უპირატესობა. საუკეთესოდ მოქმედებდა თავდასხმის ორივე ფლანგი, კარგად თამაშობდნენ და ხშირად მონაწილეობდნენ იერიშებში ნახევარმცველები. კვლავ ძველებურად თამაშობდა და მეკარეების რისხვად იქცა ჩვენი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი გივი ნოდია. ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა სამჯერ შესძლო მეტოქის კარის აღება. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. საპასუხო მატჩი, რომელიც ყარაღანდაში გაიმართა, დამთავრდა ფრედ— 0:0.

მეოთხედფინალში თბილისელთა მეტოქე ლვოვის „კარპატი“ იქნება.




სურათზე: შეტევაზეა გივი ნოდია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დედაენა

საზღვარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიძგილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" მიხედვით

გაკვეთილი 11



კუ


კ უ

კ

სო-კო. თო-კი. კო-კა. კა-მა. მი-ხა-კი.
სკა. სკა-მი. კომ-ში. კოშ-კი.

აი კამა. აი თოკი. აი მიხაკი. სამი კუ.
სუთი სოკო. ათი სკამი. შიო მკის. ეს სკაა.
ის კომშია. კაკო მიხას მშაა.

მუის მახე შოთასია. ეს უთო ძიძისაა.
კახა კესოს ეძახის. ეს კიკეს თუთის ხეა.
კაკოს კოშკის ხეს ასხია.



გაკვეთილი 12



თავთავი

თავ-თა-ვი


თ ა ვ თ ა ვ ი

ვ

თი-ვა. ვა-კე. ხე-ვი. ის-ვი. შაშ-ვი. ძეს-ვი.
თავ-თა-ვი. ხავ-სი. სხი-ვი. მძი-ვი. თა-ვი.


აი სხივი. აი მძივი. აი ძესვი. ეს თივაა.
ის ხახვია. სუთი ისვი. ეს ვაკეა. ის ხევია.
შაშვი შავია. სუთი თხა ძოვს.

კესო კამას თესავს. აი მძიმე თავთავი.
ის თუთის ხეა. შიო მაშოს მძაა. ეს მძიმე
უთო კეკესია.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ გვარდიული ქართული!

არჩილ ჭირაქაძე



19 მარტს უეცრად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი არჩილ ჭირაქაძე.

ცხოვრებიდან წავიდა ნიჭიერი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, რომლის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია რესპუბლიკაში საფინანსო მუშაობის განვითარება და გაუმჯობესება, მჩქეფარე ენერგიისა და მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი, დიდი და უხვი გულის მოქალაქე.

არჩილ ჭირაქაძე დაიბადა 1917 წელს აფხაზეთის ასსრ. გალში, პედაგოგის ოჯახში. თბილისში საშუალო განათლება რომ მიიღო, იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, შემდეგ კი წარმატებით დაასრულა სწავლა ასპირანტურაში. 1946 წელს არჩილ ჭირაქაძე შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

არჩილ ჭირაქაძის შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1942 წელს. იგი მუშაობდა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განყოფილების უფროსად, საბიუჯეტო სამმართველოს უფროსად — კოლეგიის წევრად, შემდეგ კი განაგებდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას.

მთელი რიგი წლების განმავლობაში არჩილ ჭირაქაძე იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე — იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სავეგმო-საფინანსო ორგანოებისა და ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილე, ადმინისტრაციული, სავაჭრო-საფინანსო და საგეგმო ორგანოების განყოფილების გამგე.

1959 წლიდან არჩილ ჭირაქაძე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად, ხოლო 1967 წელს წამოყენებულ იქნა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პოსტზე, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ჩვენს რესპუბლიკაში საფინანსო საქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი, ღრმა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე არჩილ ჭირაქაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

არჩილ ჭირაქაძე მაღალი პრინციპულობის და თავისა და სხვებისადმი მკაცრი მომთხოვნელობის ადამიანი იყო. ყოველივე ამან დამსახურებული ავტორიტეტი და ღრმა პატივისცემა მოუპოვა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, იყო საქართველოს სსრ ხუთი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საფინანსო კადრების აღსაზრდელად, გულუხვად გადასცემდა ახალგაზრდობას თავის ღრმა ცოდნასა და უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა არჩილ ჭირაქაძის დამსახურებას, დააჯილდოვა იგი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით. საფინანსო ორგანოებში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის არჩილ ჭირაქაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის წოდება.

არჩილ ჭირაქაძე იყო კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, ენერგიული მშრომელი, უურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანი. ხსოვნა არჩილ ჭირაქაძისა, რომლის ცხოვრება პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის ნიმუში იყო, სამუდამოდ დარჩება ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ვ. პ. მშავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, ვ. ფ. გარგუზოვი, ა. ნ. ჩურკინი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, პ. ვ. მელნიკოვი, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ა. ა. გოგოროვნიკოვი, ვ. ვ. დემენცევი, ვ. ი. ვადაჭკორია, ზ. ვ. გელდიაშვილი, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაგახუა, ვ. მ. სირაძე, პ. ა. ანანიაშვილი, შ. ე. ბუხრაშვილი, ზ. ა. კვაშაძე, ი. დ. ართმელაძე, გ. შ. მიქელაძე, ო. ს. ცანავა, დ. ზ. ქიტიაშვილი. ვ. ს. ტრაპაიძე, ს. ა. ზალდასტანიშვილი, გ. ი. ჯაფარიძე.

იაკინთე ლისაშვილი

ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკინთე ბარნაბის ძე ლისაშვილი (ხომერიკი).

იაკინთე ლისაშვილი დაიბადა 1897 წლის 19 სექტემბერს, ბახარაძის რაიონის სოფელ ზედობანში (ამჟამად შრომაში შედის), გლეხის ოჯახში.

მამამისი წვრილშვილიანი კაცი იყო და მომავალმა მწერალმა ბავშვობაშივე იგემა იმ დროის სიდუხჭირე.

1916 წელს იაკინთე ლისაშვილს მეფის არმიაში იწვევენ, არმიიდან დაბრუნების შემდეგ იგი საცხოვრებლად თბილისში გადადის და სამხედრო სამინისტროს სტამბაში იწყებს მუშაობას, აქ გაიცნობს ძველ ბოლშევიკებს ვანო ბოლქვაძეს, მატვეი კარპს და გატაცებით ჩაებმება რევოლუციურ საქმიანობაში.

1920 წლის თებერვალში შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ასრულებს სხვადასხვა პარტიულ დავალებას. იმავე წელს მას აპატიმრებენ და ციხიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს ანთავისუფლებენ.

იაკინთე ლისაშვილი ჭაბუკობიდანვე ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში. მისი პირველი ერთმოქმედებიანი პიესა „უნაყოფო ნუგეში" 1919 წელს დაიბეჭდა უურნალში „თეატრი და ცხოვრება", მას მოჰყვა მეორე ოთხმოქმედებიანი დრამა „ომის ბრალია" და მას შემდეგ სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან.

იგი მეტად ნაყოფიერი მწერალია, ავტორია ლექსებისა და პოემების ექვსი კრებულისა, მრავალი მოთხრობისა და რომანისა, რომლებითაც ის კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ბოლშევიკური პარტიის სახელოვან რევოლუციურ წარსულს მიუძღვნა მან თავისი ბრწყინვალე რომანი „კეცხოველი". ეს რომანი ქართული საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო მიღწევაა. ავტორმა ცოცხლად დაგვიხატა დიდი ქართველი მარქსისტ-ლენინელის, მგზნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველის სახე. ნაწარმოებმა მრავალეროვანი სამშობლოს მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა და ლიტერატურული ღირსებით გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ითარგმნა.

აღსანიშნავია აგრეთვე იაკინთე ლისაშვილის უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იყო პროლეტარული მწერლობის ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი, ლიტფონდისა და გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის" დირექტორი, სარეპერტუარო კომიტეტის თავმჯდომარე, უურნალ „ნიანგისა" და გაზეთ „კოოპერაციული ცხოვრების" რედაქტორი და სხვა.

ყველგან გამოირჩეოდა სისპეტაკით, კეთილსინდისიერებით და დაუღალავი ენერგიით.

უკანასკნელ წლებში იაკინთე ლისაშვილი მუშაობდა საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს დირექტორად. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

იაკინთე ლისაშვილი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეგობარი, გულმართალი და სპეტაკი ადამიანი.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მეგობარო იაკინთე. შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება შენი მეგობრებისა და მადლიერი მკითხველების გულში.

რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა №

ინდექსი 66488

ფასი 5 კ